ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში

PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC

MPG

Research

მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ“

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ფიფლ ინ ნიდ“ და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

თბილისი, 2019

კვლევის კოორდინატორი: ნინო ხატისაშვილი
უფროსი მკვლევარი: რატი კოჭლამაზაშვილი

მკვლევრები:
ნინო ხატისაშვილი
მარიამ საღარეიშვილი
სოფო ბასილიძე

კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:
ააიპ „სამოქალაქო ინიციატივა“
კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი
მედია ცენტრი კახეთი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა 9
1. შესავალი 11
1.1 კვლევის მიზანი 11
1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა 11
1.3 ევროკავშირთან ვაჭრობის (DCFTA) უპირატესობები 12
2. კვლევის მეთოდოლოგია 13
2.1. პროდუქტის შერჩევა 13
2.2 საოფისე სამუშაოები 13
2.3. საველე სამუშაოები 13
2.4. კვლევის შეზღუდვები 15
3. მაყვლის კულტურის აღწერა საქართველოში 16
3.1 ქვეყანაში მაყვლის წარმოების მიმოხილვა 16
3.2 კახეთში მაყვლის წარმოების მიმოხილვა 17
3.2.1 მაყვლის ჯიშები 18
3.2.2 წარმოებული პროდუქტები 18
4. Grid Map – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები 19
4.1 მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი საფეხურები და მონაწილეები 19
4.1.1 წარმოებისთვის მომზადება 19
4.1.2 წარმოება 19
4.1.3 მაყვლის შუამავლები (შეგროვება, შენახვა და გადამუშავება) 20
4.1.4 ტრანსპორტირება 20
4.2 ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა 21
4.3 მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები 23
4.3.1 სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფო პროგრამები 23
4.3.2 საერთაშორისო ორგანიზაციები 24
4.3.3 ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
და სადაზღვევო კომპანიები) 24
4.3.4 სექტორული ასოციაციები 24
4.3.5 ექსტენცია და მედია საშუალებები 24
5. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი 25
5.1 მაყვლის მწარმოებელი ფერმერის დანახარჯები და შემოსავლები 25
5.2 დამატებული ღირებულების ანალიზი 26
6. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ანალიზი 28
6.1 დაფინანსების საშუალებები 28
6.1.1 სოფლის მეურნეობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამები 28
6.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები 33
7. სექტორის განვითარების პოტენციალი ეროვნულ ბაზარზე 35
7.1 დასაქმების შესაძლებლობები 35
7.2 შემოსავლების გენერირება 35
7.3 გარემოზე გავლენა 36
8. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობის პოტენციალი 37
8.1 მაყვლის სექტორი მსოფლიოში 37

8.2. მაყვლით ვაჭრობა მსოფლიოში 39
8.3 საქართველოს მაყვლის ექსპორტ-იმპორტი 40
8.3.1 ახალი მაყვლის საერთაშორისო ვაჭრობა 40
8.3.2 გაყინული მაყვლის საერთაშორისო ვაჭრობა 42
8.3. ახალი მაყვლის, თუთისა და ლოგანის კენკრის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში 44
8.3.1 ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი ევროკავშირში
და საიმპორტო ქვეყნები 44
8.3.2 ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი ევროკავშირიდან
და საექსპორტო ქვეყნები 45
8.4. გაყინული მაყვლისა და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში 46
8.4.1 გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ევროკავშირში და საიმპორტო ქვეყნები 47
8.4.2 გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან და საექსპორტო ქვეყნები 47
8.5 ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები/სტანდარტები 49
8.6 ლოგისტიკა 50
8.7 მაყვლის ფასები 50
8.7.1 ახალი მაყვლის ფასი 51
8.7.2 გაყინული მაყვლის ფასი 52
9. SWOT ანალიზი და დისკუსია 55
9.1 ძლიერი მხარეები და განვითარების პოტენციალი 55
9.2 ძირითადი გამოწვევები 56
10. რეკომენდაციები 59
10.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს 59
10.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებს 59
10.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს, არასამთავრობო სექტორს და დონორებს 60
10.4 რეკომენდაციები ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად 61
ბიბლიოგრაფია 62
გამოყენებული ინტერნეტ წყაროები 63
დანართები 64
დანართი 1. პროდუქტის შერჩევა 64
დანართი 2. ჩატარებული ფოკუს ჯგუფები 64
დანართი 3. ჩატარებული ინტერვიუები 65

გრაფიკები

გრაფიკი 1: კენკროვანი კულტურების ფართობები საქართველოში, რეგიონების მიხედვით (2017 წელი)....16
გრაფიკი 2: მაყვლის ფართობები საქართველოში, რეგიონების მიხედვით (2017 წელი)....17
გრაფიკი 3: მაყვლის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული (2016 წლის მონაცემები). 38
გრაფიკი 4: ქვეყნები მაყვლის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე (2016 წელი). 38
გრაფიკი 5: ახალი მაყვლის და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოში 40
გრაფიკი 6: ახალი მაყვლის და თუთის იმპორტი საქართველოში (ქვეყნების მიხედვით)....41
გრაფიკი 7: ახალი მაყვლის და თუთის ექსპორტი საქართველოდან (ქვეყნების მიხედვით)....41
გრაფიკი 8: გაყინული მაყვლის და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოში 42
გრაფიკი 9: გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი საქართველოში (ქვეყნების მიხედვით)....43
გრაფიკი 10: გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი საქართველოდან (ქვეყნების მიხედვით)....43
გრაფიკი 11: ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში....44
გრაფიკი 12: ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი ევროკავშირში (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა) 45
გრაფიკი 13: ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი ევროკავშირიდან (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა) 46
გრაფიკი 14: გაყინული მაყვლის და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში (2012-2017 წწ.)....46
გრაფიკი 15: გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ევროკავშირში (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა) 47
გრაფიკი 16: გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა) 48
გრაფიკი 17: გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან საქართველოში 48
გრაფიკი 18: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვის მონაწილეებს შორის (ევროკავშირში კენკროვანი კულტურების იმპორტისას)....51

ცხრილები

ცხრილი 1: მარჟინალური მოგების შედარება სხვადასხვა რაოდენობის მოსავლიანობისა და ფასის პირობებში....26
ცხრილი 2: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც მაყვლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ახალი ხილის სახით....27
ცხრილი 3: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში როდესაც გაყინული მაყვლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე (არასეზონზე)....28
ცხრილი 4. პროგრამა „დანერგე მომავალის“ შედეგები 2015-2017....30
ცხრილი 5. პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ შედეგები 2013-2017 32
ცხრილი 6. პროგრამა „აგროდაზღვევის“ შედეგები 2014-2017....33
ცხრილი 7: ნედლი (ახალი) მაყვლის, ჟოლოს, თუთისა და ლოგანის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს (რაოდენობის მიხედვით) 39
ცხრილი 8: გაყინული მაყვლის, ჟოლოს, თუთისა და ლოგანის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს (რაოდენობის მიხედვით)....39
ცხრილი 9: პროდუქტის შერჩევა 64

დიაგრამები

დიაგრამა 1: მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა 21
დიაგრამა 2: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც ახალი მაყვლის რეალიზაცია ხდება ევროკავშირის ბაზარზე (ჰიპოთეზური მაგალითი) 27
დიაგრამა 3: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც გაყინული მაყვლის რეალიზაცია ხდება ევროკავშირის ბაზარზე (ჰიპოთეზური მაგალითი).....28
დიაგრამა 4: ვაჭრობის არხები როდესაც ევროკავშირში გაყინული კენკრის იმპორტი ხდება 53
დიაგრამა 5: ევროკავშირში გაყინული კენკრის გამოყენება ხილის გადამამუშავებელი კომოპანიების მიერ.....54

რუკები

რუკა 1: მაყვლის მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში.....37

სამადლობელი

კვლევაში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დრო დახარჯა ჩვენთან შეხვედრასა და გასაუბრებაზე. მათ შორის, სანერგე მეურნეობის წარმომადგენლებს, ფერმერებს, კოოპერატივებს, ექსპერტებს, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, სამაცივრე მეურნეობის წარმომადგენლებს, მაყვლის მომხმარებლებს, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებებს.

აბრევიატურები და აკრონიმები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსო	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
ღჯა	ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი
B2B	ბიზნესშეხვედრა
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება
EU	ევროკავშირი
ENPARD	ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის
REAP	USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FAOSTAT	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში, სოფლის მეურნეობას დიდი როლი ეკისრება, რამდენადაც დარგი ჯერ კიდევ წარმოადგენს სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევრის დასაქმების სფეროს ბევრი ოჯახისათვის ეს დარგი რჩება შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. მცირემიწიანი ფერმერული მეურნეობები, რითიც ხასიათდება ქართული სოფლის მეურნეობა, ბევრ შემთხვევაში, ფერმერს საშუალებას არ აძლევს, ისარგებლოს მასშტაბის ეკონომიით, ან თუნდაც საბაზრო ძალაუფლებით. შედეგად, წარმოებული პროდუქციის ერთეულის დანახარჯები და გასაყიდი ფასი, ხშირ შემთხვევაში, ფერმერს მხოლოდ მცირე მოგების მიღების საშუალებას აძლევს. საქართველოში გავრცელებული ტრადიციული აგრარული მიმართულებები, ხშირად არამოგებიანი, ან ნაკლებად მოგებიანი ხდება ქართველი ფერმერისათვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და შესაბამისი ცოდნის დეფიციტია ქვეყანაში.

მცირე ფერმერული მეურნეობებისათვის ერთ-ერთი გამოსავალია შედარებით მაღალი ღირებულების მქონე კულტურების წარმოება, რომლებიც, ამავდროულად, მოთხოვნადია შიდა და გარე ბაზრებზე. სწორედ ასეთ ახალ მიმართულებად არის მიჩნეული კენკროვანი კულტურები (ძირითადად, მარწყვი, ჟოლო, მაყვალი და მოცვი), რომელთა გაშენებაც საქართველოში ბოლო წლებში დაიწყო და საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს.

საქართველოში კენკროვანი კულტურები უძველესი დროიდან გვხვდება, თუმცა ეს იყო ველურად გავრცელებული კენკროვნები და მათი ენდემური სახეობებიც კი არსებობს. თუმცა, მსოფლიოში დიდი ხანია დაიწყო კენკროვნების გაკულტივირება, ანუ ფერმერულ მეურნეობებში მოყვანა. გამოყვანილია ბევრი სახის კულტურული ჯიშებიც, მათ შორის, უეკლო მაყვლის უამრავი ჯიში. სწორედ ასეთი კულტურული ჯიშების მოყვანა არის რეკომენდებული, რომლებიც მიჩნეულია მაღალი ღირებულების მქონე კულტურებად.

ყველაზე გავრცელებული კენკროვანი კულტურები საქართველოში არის მარწყვი, ჟოლო, მოცვი და მაყვალი. მარწყვისა და მოცვისგან გასხვავებით, ჟოლო და მაყვალი არ საჭიროებს მჟავე ნიადაგებს. ამდენად, კახეთის რეგიონის უმეტეს ნაწილში ჟოლოსა და მაყვალის წარმოებისათვის ნიადაგურ-კლიმატური პირობები საუკეთესოა.

სწორედ ეს იყო ძირითადი არგუმენტი, რატომაც შეირჩა მაყვლის კულტურა, რომ მასზე ჩატარებულიყო ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთში. კვლევის პროცესში საოფისე სამუშაოებთან ერთად განხორციელდა საველე სამუშაოებიც – ჩატარდა ინტერვიუები ფოკუს-ჯგუფებში და ჩაღრმავებული ინტერვიუები პირისპირ ან ტელეფონის საშუალებით. ეს ანგარიში არის საპილოტე, რამდენადაც პროექტში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემუშავდა და მიზნად ისახავდა ამ ორგანიზაციების გაძლიერებას, ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ჩატარების კუთხით. ეს ანგარიში კარგი გზამკვლევია მაყვლის კულტურით დაინტერესებული ადამიანებისათვის, რადგან იგი დეტალურად აღწერს კახეთის რეგიონში არსებულ მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვს და მაყვლის საექსპორტო პოტენციალს ევროკავშირის ბაზარზე.

მაყვალი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ხვიარა ბუჩქია, რომელსაც უეკლო ან ეკლიანი ღერო აქვს. მაყვალი მოიხმარება ნედლად, როგორც ძალიან არომატული ხილი, ან ხშირად საკონდიტრო ნაწარმში. ასევე, ხდება მაყვლის გადამუშავებული სახით მოხმარება. მაყვლისგან ამზადებენ მურაბებს, ჯემებს, კომპოტებს, საწებელს, ღვინოს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემები მაყვლის შესახებ ძალიან მწირეა, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში. ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ მაყვალი ცალკე არ გვხვდება როგორც წარმოების, ასევე საერთაშორიო ვაჭრობის სტატისტიკაში, იგი მოიხსენიება სხვა კენკროვან კულტურებთან ერთად (მაგალითად, თუთა).

მაყვლის კულტივირებულად წარმოება სულ რამდენიმე წელია, რაც დაიწყო საქართველოში. რეგიონების დონეზე, მაყვლის წარმოებაში ლიდერობს კახეთი, თუმცა სრულ მსხმოიარობაში მყოფი მაყვლის ბაღი ჯერჯერობით არ გვხვდება. რეგიონში არ არსებობს მაყვლისათვის საჭირო სამაცივრე მეურნეობა (შოკური მაცივარი), ასევე რეგიონში არ ხდება მაყვლის ინდუსტრიულად გადამუშავება.

ევროკავშირის ბაზარზე მაყვალი საკმაოდ მოთხოვნადია. აქ ხდება, ძირითადად, ორი სახის მაყვლის შეტანა, ახალი და გაყინული სახით. პირველის ფასი ბევრად მეტია მეორეზე, თუმცა ახალი სახით მაყვლის ტრანსპორტირება საკმაოდ რთულია და მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. საქართველოდან ევროკავშირში ჯერ მაყვლის ექსპორტის პრეცენდენტი არ არსებობს, ამიტომ რთულია მყარი და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება, თუ რამდენად მოახერხებს ქართული მაყვალი ევროკავშირის ბაზარზე შეღწევას და დამკვიდრებას. ჩვენი ანალიზიდან გამოვლინდა, რომ სწორი ლოჯისტიკური არხების აწყობის შემთხვევაში, ქართულ მაყვალს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ევროკავშირის ბაზრის ძირითად მოთამაშეებს.

როგორც ახალი დარგისთვის არის დამახასიათებელი, მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი კახეთში ამ ეტაპზე საკმაოდ სუსტია. თითოეული რგოლი საჭიროებს გაძლიერებას, რათა ჯაჭვმა სრულყოფილად იმუშაოს. ცოდნა და გამოცდილება ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა, როგორც წარმოების დონეზე, ასევე შემნახველი და გადამამუშავებელი მრეწველობის დონეზე.

მნიშვნელოვანია, რომ მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას კომპლექსურად მივუდგეთ. აუცილებელია ძლიერი ექსტენციის (ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა) სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც ფერმერებს გააცნობს მაყვლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე პრაქტიკას, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, მოკრეფა-შენახვის ტექნოლოგიას და ა.შ. ირიგაციის გაუმჯობესება და ფერმერებისათვის წყლის უწყვეტად მიწოდება სექტორის სტაბილური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია.

შოკური მაცივრების განვითარებას და მაყვლის შენახვის პირობების შესწავლას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დარგის განვითარებაში. ასევე, მნიშვნელოვანია მაყვლის სწორად ტრანსპორტირებაც, რამდენადაც მაყვალი სათუთი და მალფუჭებადი კენკროვანი ხილია.

იმის გამო, რომ რამდენიმე წელში ქვეყანაში გადასამუშავებელი კენკროვნების რაოდენობა გაიზრდება, საჭირო გახდება გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაც. მაყვლისგან შესაძლებელია სხვადასხვა სახეობის პროდუქტების წარმოება, როგორიცაა კომპოტი, მურაბა, ჯემი, იოგურტი, ღვინო და ა.შ.

სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისათვის რეკომენდებულია, რომ კერძო სექტორთან თანამშრომლობით საექსპორტო ბაზრები სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი, როგორც ახალი მაყვლის, ისე გაყინულისა და გადამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში. უნდა ჩატარდეს ბიზნეს შეხვედრები (B2B) ევროკავშირში კენკრის იმპორტიორ კომპანიებსა და ქართველ ექსპორტიორებსა და ფერმერებს შორის, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა და საკონტრაქტო პირობების გაცნობა. ამასთანავე, ფერმერებისა და ექსპორტიორებისათვის საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრებული შესაბამისი სერტიფიკატების აღებაში დახმარება.

1. შესავალი

1.1 კვლევის მიზანი

პროექტის ზოგადი მიზანია სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებისათვის აგრო-სასურსათო სექტორის შესასწავლად აუცილებელი თანამედროვე კვლევითი მეთოდების გაცნობა; შემდგომ ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, რათა მომავალში ორგანიზაციებმა დამოუკიდებლად განახორციელონ მსგავსი კვლევა და ხელი შეუწყონ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის უკეთ გამოყენებას. ამიტომ ეს კვლევა ატარებს საპილოტე ხასიათს.

ამ კონკრეტული კვლევის უმთავრეს მიზანი იყო კახეთის რეგიონისათვის პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურის – მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი (ღჯა), რათა განსაზღვრულიყო, რა პოტენციალი გააჩნია მაყვლის წარმოება-გადამუშავების ინდუსტრიას კახეთში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ევროკავშირში ქართული მაყვლის საექსპორტო პოტენციალის შეფასება.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა, წარმოებიდან მის საბოლოო მოხმარებამდე; ღირებულებათა ჯაჭვში გამოიკვეთა ის შეზღუდვები და უპირატესობები, რაც მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვს კახეთის რეგიონში გააჩნია; საბოლოოდ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა რეკომენდაციები დარგის უკეთესად განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მაყვლის შესახებ საქართველოში ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი (ღჯა) აქამდე არ ჩატარებულა. ვიმედოვნებთ, ამ კვლევის შედეგები კარგი გზამკვლევი იქნება ამ დარგით დაინტერესებული ყველა მხარისათვის, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითრებას და მასში ჩართული მხარეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა

მცირემიწიანი ფერმერული მეურნეობები, რითიც ხასიათდება ქართული სოფლის მეურნეობა, ბევრ შემთხვევაში, საშუალებას არ იძლევა, ფერმერმა ისარგებლოს მასშტაბის ეკონომიით ან თუნდაც საბაზრო ძალაუფლებით. შედეგად, წარმოებული პროდუქციის ერთეულის დანახარჯები და გასაყიდი ფასი, ხშირ შემთხვევაში, ფერმერს მხოლოდ მცირე მოგების მიღების საშუალებას აძლევს. ტრადიციული აგრარული მიმართულებები, რაც საქართველოშია გავრცელებული, ხშირად არამოგებიანი ან ნაკლებად მოგებიანი ხდება ქართველი ფერმერისათვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და შესაბამისი ცოდნის ნაკლებობაა ქვეყანაში.

მცირე ფერმერული მეურნეობებისათვის გამოსავლის ერთ-ერთი გზაა შედარებით მაღალი ღირებულების მქონე კულტურების წარმოება, რომლებიც ამავდროულად მოთხოვნადია შიდა თუ საგარეო ბაზრებზე. სწორედ ასეთ ახალ მიმართულებად არის მიჩნეული კენკროვანი კულტურების გაშენება, რაც ბოლო წლებია საქართველოში დაიწყო და საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს.

მართალია, საქართველოში კენკროვანი კულტურები უძველესი დროიდან გვხვდება, თუმცა ეს იყო ველურად გავრცელებული ჯიშები. მსოფლიოში კი დიდი ხანია დაიწყო კენკროვანი კულტურების გაკულტივირება, ანუ ფერმერულ მეურნეობებში მოყვანა.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული კენკროვანი კულტურებია მარწყვი, ჟოლო, მოცვი და მაყვალი. მარწყვისა და მოცვისგან გასხვავებით, ჟოლო და მაყვალი არ საჭიროებს მჟავე ნიადაგს. ამდენად, კახეთის რეგიონის უმეტეს ნაწილში ჟოლოსა და მაყვლის წარმოებისათვის ნიადაგურ-კლიმატური პირობები კარგია.

მაყვალი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ხვიარა ბუჩქია, რომელსაც ეკლიანი ან უეკლო ღერო აქვს. მაყვალი მოიხმარება ნედლად, როგორც არომატული ხილი, ან ხშირად გამოიყენება საკონდიტრო ნაწარმში. ასევე, ხდება მაყვლის გადამუშავებული სახით მოხმარება. მაყვლისგან ამზადებენ მურაბებს, ჯემებს, კომპოტებს, საწებელს, ღვინოს და ა.შ.

1.3 ევროკავშირთან ვაჭრობის (DCFTA) უპირატესობები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადებამ[1], ქართულ პროდუქციას საშუალება მიეცა, საბაჟო ტარიფების გარეშე, მოხვდეს მსოფლიოს ყველაზე მსყიდველობითუნარიან ბაზარზე.

იმისათვის, რომ მაყვლის ექსპორტიორებმა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სრულად გამოიყენონ, მათი პროდუქცია ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

[1] http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1. პროდუქტის შერჩევა

აგროსასურსათო პროდუქტის შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კრიტერიუმი. კახეთში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ტრენინგების მიმდინარეობისას მონაწილეებმა წარმოადგინეს პროდუქტთა სია, რომლიდანაც საბოლოოდ, საპილოტე კვლევის ჩასატარებლად, შეირჩა ერთი პროდუქტი. ეს კვლევა სამომავლოდ საფუძვლად უნდა დაედოს სსო-ების მიერ დამოუკიდებლად, სხვადასხვა პროდუქტზე, ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ჩატარებას.

ტრენინგის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი სავარაუდო პროდუქტთა სიის შეჯერების შემდეგ, განხილვაზე მოწვეულნი იყვნენ კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში ჩართული სხვადასხვა მხარე, მათ შორის ფერმერები, კოოპერატივის წარმომადგენლები, კახეთში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პროგრამა „მოლი კახეთში“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის, სსო-ს წარმომადგენლები და სხვები. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა იმ აგროსასურსათო პროდუქტთა სია, რომელთა შესახებ აღნიშნული კვლევის ჩატარება, დამსწრე საზოგადოების აზრით, მნიშვნელოვანი იქნებოდა რეგიონისათვის. ეს პროდუქტებია: გარგარი, ბროწეული, ლობიო და მაყვალი.

დისკუსიის დასრულების შემდგომ, სსო-ს წარმომადგენლებმა განიხილეს და ჩამოაყალიბეს ის კრიტერიუმები და შესაბამისი კოეფიციენტები (კრიტერიუმის წონები), რომლითაც უნდა მომხდარიყო საბოლოოდ ერთი პროდუქტის ან/და ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევა. საბოლოოდ, საკვლევ პროდუქტად შეირჩა მაყვალი (შერჩევის დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ 1-ელ დანართში).

2.2 საოფისე სამუშაოები

მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა დაფუძნებულია საოფისე და საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზზე. კერძოდ, საოფისე სამუშაოებით მოხდა უკვე არსებული მონაცემების ანალიზი, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის პუბლიკაციის შესწავლა-დამუშავებას, მათ შორის სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვა სახის პუბლიკაციები. ასევე, შესწავლილ იქნა მაყვლის შესახებ არსებული თანამედროვე ლიტერატურა, სტატიები, ანგარიშები და სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტები.

2.3. საველე სამუშაოები

საველე სამუშაოების უმეტესი ნაწილი კახეთის რეგიონში 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა. ამ პერიოდის განმავლობაში მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან შეიკრიბა 3 ფოკუს ჯგუფი და პირისპირ ინტერვიუს სახით გამოიკითხა 20 რესპონდენტი.

ფოკუს ჯგუფები

პირველი საპილოტე ფოკუს ჯგუფის შეხვედრა შერეულ ჯგუფთან გაიმართა თელავში, სადაც დარგის ექსპერტებმა მიმოიხილეს დარგი და გაკეთდა მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის პირველადი მონახაზი. ამის შემდგომ დაიხვეწა ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი, რომელიც გამოყენებულ იქნა შემდგომ ფოკუს ჯგუფებში.

შემდეგ, ახმეტის მუნიციპალიტეტში გაიმართა ა ერთი განხილვა ფოკუს ჯგუფში, ხოლო მეორე – გურჯაანის მუნიციპალიტეტში. ფოკუს ჯგუფებში ფერმერებმა მიმოიხილეს დარგის მიმდინარე მდგომარეობა, უპირატესობები და გამოწვევები. თითოეულ ფოკუს-ჯგუფს ესწრებოდა საშუალოდ 6 ფერმერი, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, როგორიცაა მაყვლის ბაღის ზომა, ადგილმდებარეობა, გენდერი და სხვ. დეტალური მონაცემები, ყველა ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შესახებ, იხილეთ მე-2 დანართში.

ინტერვიუები

ასევე ჩატარდა 20 პირისპირი და სატელეფონო ინტერვიუ, წინასწარ შემუშავებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. გამოიკითხა მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა წარმომადგენელი, როგორიცაა შხამქიმიკატებისა და ნერგების მიმწოდებელი, ფერმერი, სამაცივრე საწყობის ოპერატორი, ექსპორტიორი, ექსპერტი, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. დეტალური მონაცემები, ყველა ჩატარებული ინტერვიუს შესახებ, იხილეთ მე-3 დანართში.

საველე სამუშაოები ჩატარდა PMC კვლევითი ცენტრის წარმომადგენლების ზედამხედველობით და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

ჩატარებული საველე და საოფისე სამუშაოების შედეგად, მოხდა მიღებული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზება და საბოლოო ანგარიშში აისახა შემდეგი საკითხები:

- ჩატარდა მაყვლის სექტორის ბაზრის კვლევა და შეფასდა დარგის მდგომარეობა საქართველოსა და მსოფლიოში, როგორც წარმოების, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით;
- გაკეთდა საქართველოს მაყვლის სექტორის SWOT ანალიზი (გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები);
- მოხდა მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა, მათ შორის ძირითადი მონაწილეები და გარე ფაქტორები; აღიწერა მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები;
- შეფასდა დამატებული ღირებულებები ჯაჭვის თითოეულ რგოლზე, როგორც მაყვლის შიდა ბაზრისათვის, ისე ექსპორტზე გატანის შემთხვევაში;
- ჩატარდა ეკონომიკური გაანგარიშებები, მაყვლის ბაღის სხვადასხვა მოსავლიანობის შემთხვევაში;
- შესწავლილ იქნა ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები და ამ ბაზარზე ქართული მაყვლის პოტენციალი;
- გამოიკვეთა დარგის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

2.4. კვლევის შეზღუდვები

კვლევა ატარებდა საპილოტე ხასიათს, რაც გულისხმობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) დახმარებით მოხდა კვლევის ჩატარება. სსო-ებს მსგავსი კვლევების ჩატარების მცირე გამოცდილება აქვთ, თუმცა მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დოკუმენტის შემუშავებაში.

მაყვლის შესახებ არსებული ინფორმაცია საკმაოდ მწირია ქვეყანაში, ვინაიდან ამ დარგის განვითარება დიდი ხანი არ არის, რაც დაწყებულია საქართველოში. ამასთანავე, საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა მაყვალს ცალკე კატეგორიად არ აღრიცხავს, შესაბამისად, რთულია ამ კუთხით სრულყოფილი ანალიზის გაკეთება.

მიუხედავად ყველაფრისა, ეს კვლევა ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, რომ საკმაოდ სრულყოფილად აღიწეროს და დოკუმენტად იქნეს წარმოდგენილი საქართველოში მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი. ეს კვლევა მნიშვნელოვანი დოკუმენტია მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის დაინტერესებული მხარეებისათვის. რეკომენდებულია უფრო დეტალური კვლევის ჩატარება კონკრეტული საკითხისა თუ ღირებულებათა ჯაჭვის რგოლის უფრო სიღრმისეულად შესწავლისათვის.

3. მაყვლის კულტურის აღწერა საქართველოში

3.1 ქვეყანაში მაყვლის წარმოების მიმოხილვა

მართალია მაყვლის კულტურა კარგად ნაცნობია საქართველოსათვის, თუმცა მისი მოკრეფა, ძირითადად, ხდებოდა ველურად გავრცელებული მაყვლის ბუჩქებიდან (რომელიც, გარკვეულწილად, დღესაც გრძელდება). საოჯახო მეურნეობები მას უმეტესად ოჯახში პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებდნენ. მაყვალი სასარგებლო ხილია მისი საკვები ღირებულებიდან გამომდინარე (მდიდარია ვიტამინებით), ასევე მაყვალი ხასიათდება სამკურნალო თვისებებითაც. ძირითადად, საქართველოში მოიხმარენ ახალ მაყვალს დესერტად ან ხდება მისი გადამუშავება შემდეგ პროდუქტებად: მურაბა, ჯემი, კომპოტი, საწებელი და ღვინოც კი. ასევე, გვხვდება მისი არომატით დამზადებული რძის ნაწარმიც (მაგ., იოგურტი) და გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში (მაგ., ტორტებში).

საქართველოში მაყვლის კულტივირებული გაშენება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ჯერჯერობით, ძირითადად, მცირე ოჯახურ მეურნეობებში გვხვდება, თუმცა უკვე არსებობს რამდენიმე შედარებით მსხვილი მწარმოებელიც, რომელთაც 1 ჰექტარზე დიდი ფართობის მაყვლის ბაღი აქვთ გაშენებული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ცალკე მაყვლის წარმოების მონაცემების შეგროვება-გამოქვეყნებას არ ახდენს. იგი აგრეგირებულად აქვეყნებს კენკროვანი კულტურების წარმოების მონაცემებს. ეს მონაცემებიც ადასტურებს, რომ კენკროვანი კულტურების წარმოება ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემების თანახმად, 2017 წლის ბოლოსთვის კენკროვან კულტურებს საქართველოში ეკავა დაახლოებით 2160 ჰექტარი, აქედან ფართობების 61% მოდიოდა მარწყვზე (1310 ჰა), 21% ჟოლოზე (458 ჰა), 9% მოცვზე (205 ჰა), 7% მაყვალზე (147 ჰა), ხოლო 2% სხვა კენკროვან კულტურებს ეკავა. ფართობების მიხედვით, რეგიონებს შორის ლიდერობს კახეთი (იხილეთ გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: კენკროვანი კულტურების ფართობები საქართველოში რეგიონების მიხედვით (2017 წელი)



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2017 წლის ოპერატიული მონაცემები).

3.2 კახეთში მაყვლის წარმოების მიმოხილვა

კახეთის რეგიონი ლიდერია მაყვლის ფართობების კუთხითაც, მასზე მოდის მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული კულტივირებული მაყვლის ფართობების 30% (დეტალები იხილეთ გრაფიკი 2-ზე).

გრაფიკი 2: მაყვლის ფართობები საქართველოში, რეგიონების მიხედვით (2017 წელი)



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2017 წლის ოპერატიული მონაცემები).

კახეთში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, მაყვალი ახლად გაშენებული კულტურაა, რომელიც ჯერ სრულ მსხმოიარობაში არ შესულა (დარგვიდან სჭირდება 5 წელი). შესაბამისად, წარმოება მომდევნო წლებში, სავარაუდოდ, ბევრად გაიზრდება. აღსანიშნავია ასევე, რომ ბევრია ისეთი ოჯახი, რომლებსაც მაყვალი გაშენებული აქვს მცირე ფართობზე და მოჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის. თუმცა, როგორც კვლევიდან გამოვლინდა, მაყვლის წარმოება საოჯახო მეურნეობებიდან თანდათან ინაცვლებს უფრო მასშტაბურ წარმოებაში. რეგიონში მაყვლის ფართობის მიხედვით, მოწინავე ადგილებს იკავებენ გურჯაანის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, კენკროვანი კულტურების მწარმოებელი კახეთის რეგიონში სულ 2 კოოპერატივია. ერთი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მეორე კი, თელავის მუნიციპალიტეტში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაყვლის ბაღების გაშენება სულ უფრო პოპულარული ხდება ქართველ ფერმერებში. ეს ცვლილება, გარკვეულწილად, იმასაც უკავშირდება, რომ მაყვალი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, როგორც მაღალი რენტაბელურობის კენკროვანი კულტურა და მისი გაშენება სხვა კენკროვნებთან ერთად პრიორიტეტულადაა მიჩნეული. სახელმწიფოს პროგრამა „დანერგე მომავალი“ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ისეთ ფერმერებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კენკროვანი კულტურების გაშენებით. სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, პროგრამა „დანერგე მომავალის“ ფარგლებში გაშენებული კენკროვანი კულტურების ფართობები, 2017 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში შეადგენდა 22.9 ჰექტარს. აქედან უდიდესი წილი ეკავა მაყვალს – 18.4 ჰექტარი.

ამ მიმართულებით აქტიურია ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროგრამები (მაგ., USAID-ის პროექტი „ზრდა“ და ევროკავშირის ENPARD-ის პროექტი).

კვლევავ გამოავლინა, რომ დღესდღეობით მაყვლის მოსავალი სრულად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე და თითქმის არ ხდება მისი ექსპორტირება საზღვარგარეთ. თუმცა, ამ ბოლო პერიოდში მაყვალი ექსპორტზეც გადის.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული მაყვალი ბაზარზე გვხვდება ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით, მისი ფასი კი მერყეობს 2-დან 5 ლარის ფარგლებში. როგორც წესი, მოსავლის 2/3 საუკეთესო ხარისხის მოსავალია, ხოლო დანარჩენი 1/3 შედარებით დაბალი ხარისხის, რომლის ფასიც 2-3-ჯერ ჩამოუვარდება უმაღლესი ხარისხის მაყვლის ფასს. ზამთარსა და გაზაფხულზე ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების მაყვალს ანაცვლებს იმპორტირებული გაყინული მაყვალი, რომლის ფასიც ამ პერიოდში შედარებით მაღალია.

3.2.1 მაყვლის ჯიშები

კულტივირებული მაყვლის ჯიშებიდან ყველაზე გავრცელებულია უეკლო მაყვალი. იგი არის მრავალწლიანი, ბუჩქოვანი მცენარე. კახეთის რეგიონში ძირითადად გავრცელებული ჯიშებია ,,ჩესტერი“ და ,,სამმაგი გვირგვინი“. მიმდინარე წელს მსხვილმა მწარმოებლებმა შემოიტანეს საადრეო ჯიშის უეკლო მაყვალი ,,არაპახო“ და საგვიანო პერიოდის მაყვალი ,,ლოხნესი“.

უეკლო მაყვლის ჯიშები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში:

- ჩესტერი;
- სამმაგი გვირგვინი;
- არაპახო;
- ლოხნესი.

მსხმოიარობის მიხედვით, ჩამოთვლილი ჯიშები იყოფა სამ კატეგორიად: საადრეო, საშუალო და საგვიანო. ,,სამმაგი გვირგვინი“ და „არაპახო“ მწიფობაში შედის მაისის ბოლოდან, მათ ივნისის ბოლოდან მოსდევს ,,ჩესტერი“ და ბოლოს ,,ლოხნესი“.

ჩვენ მიერ გამოკითხული ფერმერების უმრავლესობას ამ ეტაპზე გაშენებული აქვთ ,,ჩესტერი“ და ,,სამმაგი გვირგვინი“. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ჯიშები გამოცდილია და კარგად ეგუება კახეთის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს.

3.2.2 წარმოებული პროდუქტები

ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტები აცხადებენ, რომ უეკლო მაყვლისგან ამზადებენ ნატურალურ წვენებს, კომპოტსა და მურაბას მცირე რაოდენობით. ასევე გამოვლინდა, რომ, პროდუქტის სიძვირის გამო, მომხმარებლები მაყვლის დიდი რაოდენობით შეძენას ვერ ახერხებენ. მაყვლის გადამუშავებულ პროდუქტებს ამზადებენ ოჯახისთვის და არა გასაყიდად.

ხილის გადამამუშავებელი საწარმოს წარმომადგენლების თქმით, მაყვალი, ძირითადად, იყიდება ნედლი სახით, მისი გადამუშავება ადგილობრივ ბაზარზე, ინდუსტრიულ დონეზე, ამ ეტაპზე თითქმის არ ხდება.

4. Grid Map – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

4.1 მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი საფეხურები და მონაწილეები

4.1.1 წარმოებისთვის მომზადება

მაყვლის მოსაყვანად საჭიროა შესაფერისი ნიადაგი, ნერგები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და სასუქები, ირიგაცია და ადამიანური რესურსი. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ნიადაგი. საქართველოში კენკროვანი კულტურების წარმოების პოტენციალი არცთუ ისე დიდი ხნის წინ იქნა გაანალიზებული. მაყვალი მოითხოვს ნეიტრალურ pH-ის (განსაზღვრავს ნიადაგის მარილიანობას და ტუტიანობას) მქონე ნიადაგს. უკვე მიღებულმა შედეგებმა კი დაადასტურა, რომ კახეთის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მაყვალი კარგად ხარობს. დღეს შესაძლებელია, რომ ნიადაგის შესაბამისი ანალიზის შედეგად მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ზედაპირის გამდიდრება ისე, როგორც ეს მაყვლისთვის არის სასურველი. რეგიონში არსებობს მიწის ანალიზის ლაბორატორიები, თუმცა, როგორც გაირკვა, ყველა ნივთიერებაზე ამ ლაბორატორიებში ვერ ხერხდება შემოწმება და საჭიროა შედარებით უფრო ღრმა (და ძვირი) ანალიზის გაკეთება, რასაც სამწუხაროდ ფერმერები იშვიათად მიმართავენ.

ნერგები. პირველად მაყვლის ნერგები რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთიდან შემოიტანეს და ფერმერთა გარკვეულ ნაწილს დაურიგეს. დღეს ნერგები ადგილზეც გამოჰყავთ და ასევე ხდება მათი შემოტანაც, ძირითადად, ამერიკიდან ან ევროპიდან.

რეგიონში არის რამდენიმე სანერგე მეურნეობა, თუმცა ბოლო პერიოდამდე სერტიფიცირებულ ნერგს არც ერთი არ აწარმოებდა, რაც, ფერმერთა აზრით, აისახება ნერგის ხარისხსა და მოსავლიანობაზე.

რეგიონში უმეტესად გვხვდება ჩესტერისა და სამმაგი გვირგვინის ჯიშები, ზოგიერთი ფერმერის ბაზაზე უკვე მიმდინარეობს მაყვლის სხვადასხვა ჯიშების გამოცდა, მათ შორის საადრეო და საგვიანო ჯიშების.

4.1.2 წარმოება

მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სასუქების მომწოდებლები. კახეთის რეგიონში დიდი რაოდენობით მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სასუქების მომწოდებლები არიან. თუმცა, რამდენადაც მაყვალი ახალი კულტურაა საქართველოში, ნაკლებია მისი მოვლა-მოყვანის ცოდნაც. დაავადებებიც ჯერჯერობით არ არის გავრცელებული, შესაბამისად, ფერმერები მცენარის დასაცავად მინიმალურ ღონისძიებებს ატარებენ და ნაკლებად იყენებენ მცენარეთა დაცვის საშუალებებს. რაც შეეხება სასუქებს, ფერმერები, უმეტესწილად, იყენებენ ბიოლოგიურ სასუქს (ნაკელს), თუმცა აგრომაღაზიებში სხვა ქიმიური და ბიოლოგიური სასუქები ადვილად ხელმისაწვდომია. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებმა ჩაატარონ ყველა ის ღონისძიება, რაც აგროტექნოლოგიური რუკით[2] არის განსაზღვრული.

ირიგაცია. ფერმერები ერთ-ერთ ძირითად პრობლემად სარწყავი სისტემების გაუმართაობას ასახელებენ, რაც მათ წარმოებას აზარალებს. მაყვალი აუცილებლად საჭიროებს სარწყავ სის-

[2] აგროტექნოლოგიურ რუკაში დეტალურადაა გაწერილი მცენარის ვეგეტაციის მანძილზე საჭირო აგროტექნიკური სამუშაოები, მათ შორის მინის სამუშაოები, აგროვადები, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების სქემა, პრევენციული ღონისძიებები, რწყვისა და ფუმინგაციის რეჟიმები და სხვ.

ტემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს. წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟებას ერთ ჰექტარზე 6000 ლარი სჭირდება.

სამუშაო ძალა. მაყვლის მოვლა-მოყვანა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა. განსაკუთრებით შრომატევადია მაყვლის კრეფა. შესაბამისად, მაყვლის მცირე ბაღიც კი ხშირად რამდენიმე ადამიანის სეზონურად დასაქმებას საჭიროებს. კახეთში და ზოგადად მთელს საქართველოში, მაყვლის კრეფა გრძელდება დაახლოებით 6 კვირა, როდესაც საშუალოდ ყოველ მეორე დღეს ხდება ნაყოფის მოკრეფა ხელით. ფერმერები, უმეტეს შემთხვევაში, დამატებით მუშახელს ქირაობენ (ოჯახის წევრების გარდა). თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც უჭირთ მუშახელის პოვნა. დაქირავებული მუშის დღიური ანაზღაურება მერყეობს 25-დან 30 ლარამდე.

რაც შეეხება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, როგორიც საჭიროა გასხვლის ან სხვა აგრო-ღონისძიებების ჩატარების დროს, რეგიონში დიდ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია, რომ მაყვლის წარმოებით დაინტერესება შეინიშნება ახალგაზრდებში, რაც დადებითი ფაქტორია დარგის სამომავლო განვითარებისთვის.

მექანიზაცია: ვინაიდან, ბევრი ფერმერი განსაკუთრებით კი ბიო-მეურნეები არ იყენებენ სარეველების საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატებს, მათ ესაჭიროებათ „მულჩერები„, „ჩიზელები„ და სათიბი ტექნიკა. გამოვლინდა, რომ სახელმწიფო მექანიზაციიც ცენტრებს „ჩიზელი„ და „მულჩერი“ კახეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგ: გურჯაანი) საერთოდ არ ჰყავს. კერძო მექანიზატორებს აქვთ მოძველებული ტექნიკა, რომელიც ხშირად ფუჭდება და სანამ რიგი მოუწევს ფერმერს, ბალახი უკვე მაყვლის ბუჩქზე მაღლია ხოლმე. ამდენად, არასაკმარისი ტექნიკა და არსებული მექანიზაციის პუნქტების არაეფექტური მუშაობა ასევე პრობლემას ქმნის მაყვლის ბაღების მოვლისას, განსაკუთრებით ბიო-მეურნეებისათვის. ფერმერთა დიდი ნაწილი გათვითცნობიერებული არის ამ კულტურის მოვლა-მოყვანის სრულ აგროტექნოლოგიურ ციკლში, თუმცა არიან ისეთი ფერმერებიც, რომლებმაც საცდელად დარგეს და მაყვლის სპეციფიკის შესწავლის შემდგომ გეგმავენ გაფართოებას.

4.1.3 მაყვლის შუამავლები (მეგროვება, შენახვა და გადამუშავება)

მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენენ შუამავლები, რომლებიც ფერმერებისგან ყიდულობენ პროდუქტს, შემდგომი გასაღების მიზნით. შუამავლები პროდუქტს ყიდიან საცალო მოვაჭრეებზე ან თავადვე ყიდიან პროდუქტს საცალო ბაზრობებზე.

მაყვლის დიდხანს შესანახად, საჭიროა მისი შოკურად გაყინვა[3] (მინუს 40 გრადუსზე). ამ კუთხით კახეთში ჯერ არ არსებობს შოკური მაცივარი. ეს უკანასკნელი სულ რამდენიმეა საქართველოში. ერთ-ერთი მათგანია ახლად გახსნილი მეურნეობა „გლენბერი“, რომელსაც ქარელის მუნიციპალიტეტში, აგარაში აქვს სამაცივრე მეურნეობა. აღნიშნულმა მეურნეობამ კენკრის შესყიდვა (მათ შორის, მაყვლის) 2018 წლის ივლისში დაიწყო და როგორც ინტერვიუში განაცხადეს, ექსპორტზე უკვე გააგზავნეს თურქეთსა და ისრაელში. ამ სამაცივრე მეურნეობას შეუძლია 1 საათში 1500 კილოგრამი კენკრის შოკურად გაყინვა, რის შემდგომაც ხდება კენკრის მაცივრებში გადატანა (მინუს 18-22 გრადუსზე, სადაც სამ წლამდე შეიძლება შენახვა).

გაყინული კენკრის უდიდესი მოთამაშეები ევროპაში პოლონეთი და სერბეთია. ისინი მოსავლის აღებას კომბაინებით ახდენენ, რაც კრეფისა და, მაშასადამე, მთლიანად კენკრის თვითღირებულებას საკმაოდ ამცირებს. ეს კი საშუალებას იძლევა დაბალ ფასად მიაწოდონ ბაზარს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებს.

[3] როდესაც ვსაუბრობთ გაყინულ მაყვალზე, ეს არის პროცესი როდესაც ცოცხალი ხილის - მაყვლის გაყინვა ხდება სპეციალურ მაცივარში, რომელსაც „შოკ-მაცივარს„ უწოდებენ. იგი არ უნდა აგვერიოს გაშრობის შემდგომ გაყინვასთან. აღნიშნულ კვლევაში გაყინულ მაყვალში იგულისხმება ცოცხალი ნაყოფის გაყინვა (გამოშრობის (ჩირად ქცევის) გარეშე).

4.1.4 ტრანსპორტირება

ახალი მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვში ფერმერების უმეტესობა თვითონ ახორციელებს პროდუქტის ტრანსპორტირებას, ან შუამავლების დახმარებით ყიდიან პროდუქტს.

რაც შეეხება გაყინულ მაყვალს, მისი ტრანსპორტირება ხდება მაცივარ-მანქანებით შემდგომი შოკურად გაყინვისათვის, რომელიც საბოლოოდ შიდა ან საექსპორტო ბაზრებზე ხვდება ზღვით, ხმელეთით ან საჰაერო ტრასპორტით.

სამაცივრე მეურნეობის წარმომადგენლის შეფასებით, ახალი მაყვალი კარგად უძლებს ტრანსპორტირებას, თუმცა მნიშვნელოვანია მოკრეფის პერიოდი (არ უნდა იყოს გადამწიფებული). კახეთიდან ქარელის მიმართულებით მაცივარ-მანქანებით მაყვლის ტრანსპორტირება მინიმალურ დანაკარგებთანაა დაკავშირებული.

4.2 ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც შედგება შიდა და გარე ფაქტორებისაგან. შიდა ფაქტორები მოიცავს ჯაჭვში უშუალოდ ჩართულ რგოლებს, ხოლო გარე ფაქტორები – მათ, რომლებიც ჯაჭვის ფუქციონირებაზე გავლენას ახდენენ. ორივე მათგანი, ისევე როგორც მთლიანი ჯაჭვის ასახვა, დეტალურად განხილულია ქვემოთ.

დიაგრამა 1: მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა



4.3 მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

4.3.1 სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფო პროგრამები

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა დონორი ორგანიზაციის მიერ ინიცირებული პროექტების შესახებ.

მაყვლის კულტურის გაშენებით დაინტერესება ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამამ „დანერგე მომავალი" გააძლიერა. ამ პროგრამის განხორციელება იმჟამინდელმა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2015 წლიდან დაიწყო და მის ფარგლებში ხორციელდება მრავალწლიანი კულტურების, მათ შორის კენკროვანი ხილის ბაღების და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსება. მაყვლის ბაღების გაშენების დაფინანსება ხდება საქართველოს ყველა რეგიონში. პროექტის მიხედვით, სახელმწიფო აფინანსებს შესაძენი ნერგების ღირებულების 70 %-ს (როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაშიც), წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს და სანერგე მეურნეობის 50%-ს. ამას გარდა, პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს ფერმერების ტრენინგს, გაშენებული ბაღის მოვლა-მოყვანის მიმართულებით[4]. ბევრმა რესპონდენტმა ისარგებლა პროგრამით, თუმცა კიდევ უფრო ბევრმა აღნიშნა, რომ მათ მონაწილეობა ვერ მიიღეს „დანერგე მომავალის" პროგრამაში, რადგან პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭიროა ბაღის გაშენება მინიმუმ 1 ჰექტარზე. ამ შეზღუდვის გამო, ბევრმა კახელმა ფერმერმა ვერ შეძლო პროგრამით სარგებლობა.

ასევე, გამოწვევად რჩება დაურეგისტირებელი მიწის ნაკვეთები. ამის გამო პროგრამაში მონაწილეობის მიღებას რიგი ფერმერები ვერ ახერხებენ. რეალურად აქვთ მფლობელობაში მიწები, მაგრამ ვერ ახორციელებენ საკუთრებაში რეგისტრაციას. შესაბამისად, ამ მიწებს ვერც სესხის უზრუნველყოფისთვის იყენებენ.

როგორც ჩანს, ეს შეზღუდვა, გარკვეულწილად, გაითვალისწინა სახელმწიფომ და სულ ცოტა ხნის წინ „დანერგე მომავალის" ახალი ქვეპროგრამა ამოქმედდა, რომელიც 100%-ით დააფინანსებს კენკრის გაშენებით დაინტერესებულ ფერმერებს, თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-მდე ფართობზე გააშენონ კენკროვანი კულტურები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კახეთი ამ ქვეპროგრამაში ვერ მოხვდა[5].

კვლევამ აჩვენა, რომ კენკრის მწარმოებელი ფერმერები სარგებლობენ ასევე სახელმწიფოს პროგრამით „შეღავათიანი აგროკრედიტი", რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება[6]. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს თანადაფინანსებით მიმდინარე კიდევ ერთი პროგრამა „აგროდაზღვევა" კენკროვან კულტურებსაც მოიცავს, ჯერჯერობით ფერმერები არ მონაწილეობენ ამ პროგრამაში. ნარგავების სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდგომ ფერმერები გეგმავენ აღნიშნული პროგრამით სარგებლობას, რომლის 70%-ს სახელმწიფო ფარავს, ხოლო ფერმერს მოუწევს ყოველწლიურად 1 ჰექტარის დაზღვევის პოლისში გადაიხადოს დაახლოებით 500 ლარი[7].

---

[4] http://apma.ge/projects/read/plant_future/20:child

[5] http://apma.ge/projects/read/plant_future/71:child

[6] http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

[7] http://apma.ge/projects/read/agroinsurance/17:child

4.3.2 საერთაშორისო ორგანიზაციები

მას შემდეგ, რაც საქართველოში კენკროვანი კულტურების წარმოების პოტენციალი გამოიკვეთა, დონორი ორგანიზაციებიც აფინანსებენ კენკროვანი კულტურების ღირებულებათა ჯაჭვს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროექტი 2014 წლიდან ამ მიმართულებით აფინანსებს ფერმერებს (კოოპერატივებსა და ინდივიდუალურ ფერმერებს). დაფინანსებასთან ერთად ფერმერებს ტექნიკურ დახმარებასაც უწევენ. USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე კენკროვანი კულტურების სანერგე მეურნეობების მოშენების მიზნით გასცემს გრანტებს, რაც ფინანსურ ასპექტთან ერთად ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების კომპონენტსაც. პროგრამის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორიცაა: ხეხილის ბაღები, კენკრის წარმოება, ბოსტნეულის წარმოება, მეფუტკრეობა, ტურიზმი და მომსახურების დარგი (მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიები).

კახეთის რეგიონში მუშაობდა ასევე USAID-ის პროექტი REAP, რომლის ფარგლებში რამდენიმე გადამამუშავებელი და სამაცივრე მეურნეობა შეიქმნა. ამ პროექტის მეორე ფაზა ახლა იწყება და იგეგმება მცირე სამაცივრე მეურნეობების მოწყობა, სადაც ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ კენკრის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები.

4.3.3 ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები)

მცირე ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რთულია ასევე მაყვლის სექტორში მოღვაწე ფერმერებისთვისაც. მაყვლის ბაღის გაშენება და მოვლა არცთუ ისე მცირე ხარჯებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად ფინანსებზე წვდომა მნიშვნელოვანი კომპონენტია და ფერმერები მას განიხილავენ, როგორც წარმოების ხელისშემშლელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა კვლავ მწვავედ განიხილება ფერმერების მიერ, ზოგიერთ საფინანსო ინსტიტუტს (მაგ., „თიბისი ბანკი“) აქვს გარკვეული პროგრამები, კონკრეტულად კენკროვანი კულტურების გაშენებით დაინტერესებული ფერმერებისათვის. ისინი ხშირად სინერგიას აკეთებენ სახელმწიფო პროგრამებთან („დანერგე მომავალი“ და „იაფი აგროკრედიტი“), რაც ორმაგად სასარგებლოა ფერმერებისათვის.

აგროდაზღვევის ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აგროდაზღვევის პროექტს სახელმწიფოს დახმარებით ახორციელებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები. მიმდინარე წელს პროგრამაში შევიდა ცვლილება და მხოლოდ ის ფერმერები ისარგებლებენ, რომლებსაც დარეგისტრირებული აქვთ მიწა, რომელზეც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას[8].

[8] http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent

4.3.4 სექტორული ასოციაციები

საქართველოში არსებობს ფერმერული ასოციაციები, თუმცა ჯერ კიდევ მცირეა კონკრეტული ვიწრო-სექტორული გაერთიანებები. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვარში შეიქმნა საქართველოს კენკროვანი ხილის მწარმოებელთა ასოციაცია, რომლის უმთავრესი მიზანია კენკროვნების პოპულარიზაცია ქართველ ფერმერებში და დარგის წარმომადგენლების ინტერესების დაცვა საქართველოში.

4.3.5 ექსტენციე დე მედია საშუალებები

მცირეა დარგის საფუძვლიანი ცოდნა, რაც იმითიც არის გამოწვეული, რომ მაყვლის ინტენსიური წარმოება საქართველოში რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ჯერ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება მწირეა ქვეყანაში. დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვალიფიციური კვლევები და შესაბამისი რეკომენდაციები.

რამდენადაც კენკროვანი კულტურების გაშენება ახალი მიმართულებაა კახელი ფერმერებისათვის, ინფორმაციის მიღების კუთხით დიდ როლს თამაშობს თანამედროვე მედია საშუალებები, როგორიცაა ინტერნეტი, რადიო თუ სატელევიზიო გადაცემები აგრარული მიმართულებით. ფერმერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი გზით ხშირად იღებენ ინფორმაციას.

5. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი

5.1 მაყვლის მწარმოებელი ფერმერის დანახარჯები და შემოსავლები

მაყვალი მაღალშემოსავლიან კულტურადმიიჩნევა, რადგან მცირე ფართობის ნაკვეთზე მიღებული შემოსავლები მაღალია ბევრ სხვა კულტურასთან შედარებით. მაყვალი დარგვიდან მეორე წელს დარგვიდან იძლევა მოსავალს, ხოლო მეხუთე წელს შედის სრულ მსხმოიარობაში, ხოლო პროდუქტიულობას ინარჩუნებს დაახლოებით 30 წლის მანძილზე.

ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი მაყვლის ბაღის გაშენებისა და მოვლა-მოყვანის ხარჯები და შემოსავლები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გათვლები ეფუძნება ისეთი ფერმერის საქმიანობას, რომელიც სამაგალითოა, იცავს აგროვადებს და ასრულებს ყველა აგრო-ღონისძიებას, რაც განსაზღრულია მაყვლის კულტურისათვის.

მაყვლის ბაღის გაშენება რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: ნიადაგის მომზადება, ნაკვეთის შემოღობვა, სარწყავი სისტემის მოწყობა, ნერგის დარგვა, შპალერის მოწყობა და ა.შ. შემდგომ წლებში კი მაყვლის ბაღი საჭიროებს ნერგის მოვლას, მოსავლის აღებას და მის რეალიზაციას.

1 ჰექტარზე მაყვლის გაშენებისთვგის საჭიროა დაახლოებით 25-35 ათასი ლარი (აშენებენ მულჩირებით[9], ან მულჩირების გარეშე). დანახარჯებში შედის ყველა შესაძლო ხარჯი გარდა მიწის შეძენის ან იჯარის საფასურისა (თუ ფერმერმა მიწა უნდა შეიძინოს ან იჯარით აიღოს). ამ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სერტიფიცირებული ნერგი, წვეთოვანი სარწყავი სისტემით უზრუნველყოფა, შპალერის მოწყობა და სხვა მრავალი თანმდევი ხარჯი, რათა მაყვლის ბაღის გაშენება მოხდეს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად..

მაყვლის ძირებს შორის დაშორება სასურველია იყოს 130 სანტიმეტრი, ხოლო რიგებს შორის დაშორება მინიმუმ 2.5 მეტრი მაინც (სასურველია 3 მეტრი), რათა ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში, არ გაჭირდეს მათი გადაადგილება. ასეთ შემთხვევაში, ჰექტარზე 2500-3000 მაყვლის ნერგი ირგვება. ერთი ნერგი საშუალოდ ღირს 3 ლარი, თუმცა დამოკიდებულია ადგილობრივ სანერგეებში ყიდულობს ფერმერი თუ იმპორტირებულს.

მაყვლის მოვლისას მნიშვნელოვანი ღონისძიებებია მაყვლის ბუჩქის ფორმირება-გასხვლა, სასუქების შეტანა, ჰერბიციდების, ფუნგიციდებისა და ინსექტიციდების შეტანა და მორწყვა. უკვე გაშენებულ ბაღში, ამ სამუშაოების შესრულება ერთ ჰექტარზე დაახლოებით 3-4 ათასი ლარი ღირს.

მაყვლის ნაყოფი საკმაოდ სათუთია, ამიტომ მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად ხშირად ფერმერები პირდაპირ იმ ყუთებში კრეფენ, რომლითაც მისი გადაგზავნა ხდება გასაყიდად. მაყვლის ნაყოფი, ძირითადად, იყოფა ორ კატეგორიად: უმაღლესი ხარისხის და სხვა დანარჩენი. შესაბამისად, მაყვლის კრეფისას ფერმერები ხშირად იყენებენ ორ საკრეფ-სარეალიზაციო კონტეინერს, ერთში იკრიფება მსხვილი ნაყოფი (უმაღლესი ხარისხი), მეორეში საშუალო და წვრილი ნაყოფი. მაყვალი არათანაბრად მწიფდება, ამიტომ ყოველ მეორე დღეს უნდა დაიკ-

[9] მულჩირება არის ნიადაგის მოშიშვლებული ნაწილის გადაფარვა სხვადასხვა საშუალებით, ძირითადად, პლასტიკატით. მულჩირება აუმჯობესებს ნიადაგის აგროფიზიკურ თვისებებს, იცავს მას ეროზიისაგან. იგი გავლენას ახდენს ნიადაგში მიმდინარე ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ პროცესებზე.

რიფოს. დაქირავებული მუშის/მკრეფავის ანაზღაურება დამოკიდებულია მოკრეფილი მაყვლის რაოდენობაზე, კილოგრამის მოკრეფა ღირს 0.5 ლარი. საშუალოდ მუშა დღიურად 30-დან 50 კილოგრამამდე კრეფს.

მაყვლის პლანტაციის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 30 წელია. შესაბამისი მოვლის პირობებში, შესაძლებელია 1 ჰექტარზე 7-დან 18 ტონამდე მოსავლის აღება.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემული გაანგარიშებები სხვადასხვა დაშვებას ეფუძნება. მაყვლის ფასი ფერმის კარზე 2.00 და 2.70 ლარია კგ-ზე[10], ხოლო მოსავლის რაოდენობად აღებულია სამი სხვადასხვა ვარიანტი: 8-10-12 ტონა სარეალიზაციო მოსავალი 1 ჰექტარზე[11].

ცხრილი 1: მარჟინალური მოგების შედარება, სხვადასხვა რაოდენობის მოსავლიანობისა და ფასის პირობებში

ინდიკატორები	9 ტონა მოსავალი		11 ტონა მოსავალი		13 ტონა მოსავალი	
შეწონილი საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	2.00	2.70	2.00	2.70	2.00	2.70
სარეალიზაციო მოსავალი (ტონა/ჰა)	8		10		12	
მთლიანი ხარჯი (ლარი)	10 780		13 110		14 910	
შემოსავლები (ლარი)	16 000	21 600	20 000	27 000	24 000	32 400
მოგება (ლარი)	7 220	10 800	6 890	13 890	9 100	17 500
თვითღირებულება (ლარი/კგ)	1.35		1.31		1.24	
მოგების მარჟა (%)	33%	50%	34%	51%	38%	54%
ნულოვანი მოგების წერტილი (ტონა/ჰა)	3.5	3.5	3.7	3.7	3.8	3.8

წყარო: ავტორების გაანგარიშება, ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით.

მაყვლის მწარმოებელი ფერმერის ხარჯების დათვლისას აღებულია მაყვლის მოვლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, შესაბამისი მოსავლიანობითა და საშუალო ფასების დაშვებით. მთლიან დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს მაყვლის კრეფისას მუშაზე გაწეულ დანახარჯებს, სარეალიზაციო კონტეინერებს და, რაღა თქმა უნდა, მაყვლის ბაღის მოვლის ხარჯებს.

5.2 დამატებული ღირებულების ანალიზი

ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობა ის დამატებული ღირებულებაა რაც იქმნება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე. იქედან გამომდინარე, რომ დღეს ქართული მაყვალი, ძირითადად, საქართველოში მოიხმარება ახალი ხილის სახით, გადამუშავებისა და გაყინვის გარეშე, ასეთ ჯაჭვში არცთუ ისე დიდი დამატებული ღირებულების აკუმულირება ხდება.

[10] სარეალიზაციო ფასის ბევრი ვარიაცია არსებობს, თუმცა ჩვენ გასაშუალებული ვარიანტები ავიღეთ, როდესაც საბითუმოდ იყიდება ფერმის კარზე ტარის გარეშე და როდესაც ტარით იყიდება ფერმის კარზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ფერმერი მცირე რაოდენობებით პირდაპირ ყიდის ადგილობრივ შინამეურნეობებსა თუ საკონდიტრო საწარმოებზე, მაშინ ფასი შედარებით მაღალია.

[11] მოსავლის დაახლოებით 5-10%-ის დანაკარგები ხდება მაყვლის მოსავლის აღება-დახარისხება-დაფასოებისა და ტრანსპორტირებისას.

ცხრილი 2: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც მაყვლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე ახალი ხილის სახით

ფერმერი → შუამავალი → საცალოდ მოვაჭრე → მომხმარებელი (საქართველოში)

ღირებულებათა ჯაჭვის რგოლი	მაყვლის პროდუქციის ღირებულება (ლარი)	დანახარჯი (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)	მექანიზმი დამატებული ღირებულების გადანაწილებაზე (%)
ფერმერი	2.50	1.30	1.20	1.20	45%
შუამავალი/ გადამყიდველი	3.40	3.00	0.40	0.90	33%
საცალოდ მოვაჭრე	4.00	3.70	0.30	0.60	22%
ჯამი			**1.90**	**2.70**	**100%**

წყარო: ავტორების გაანგარიშება, ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით.

გათვლებიდან ირკვევა რომ ასეთ ღირებულებათა ჯაჭვში ერთ კილოგრამ მაყვალზე ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას ქმნის ფერმერი (45%), შემდეგ შუამავალი/გადამყიდველი (33%) და ბოლოს საცალოდ მოვაჭრე (22%).

მართალია, დღეს იშვიათად გვხვდება, მაგრამ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ალტერნატიული ღირებულებათა ჯაჭვი, რომელშიც მოცემულია დამატებითი რგოლი, სამაცივრე მეურნეობა, რომელიც ინახავს მაყვალს და ბაზარს აწვდის, როდესაც მისი დეფიციტია (ძირითადად, ზამთარში და გაზაფხულზე). სამაცივრე მეურნეობის ექსპერტების ინფორმაციით, მაყვლის მაცივარში შენახვა დამოკიდებულია მაცივრის ტიპსა და შენახვის ხანგრძლივობაზე. თუ მცირე პერიოდით ხდება შენახვა, 10-15 დღით, მაშინ მაყვალი 0 გრადუს ტემპერატურაზე ინახება. დანახარჯი კი შეიძლება განისაზღვროს ერთი კილოგრამისთვის 10 დღეზე მაქსიმუმ 12 თეთრი, თუ, რა თქმა უნდა, ფერმერი 10 დღეში მოახერხებს მაყვლის რეალიზაციას. უფრო დიდი ვადით შენახვის შემთხვევაში, საჭიროა შოკური მაცივრის გამოყენება, რომელიც -40 გრადუსზე ყინავს ნაყოფს და შესაძლებელია მაყვლის თვეობით შენახვა.

აღსანიშნავია, რომ სამაცივრე მეურნეობა მაყვალს დიდი რაოდენობით ყიდულობს, შესაბამისად, შედარებით დაბალ ფასს იხდის, რომელიც ჩვენი დაშვებით არის 2.30 ლარი/კგ. ქვემოთ მოცემული გაანგარიშებებიც სწორედ ამ დაშვებაზეა დაფუძნებული.

ცხრილი 3: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც გაყინული მაყვლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე (არასეზონზე)

ფერმერი → შუამავალი → საცალოდ მოვაჭრე → მომხმარებელი

ღირებულებათა ჯაჭვის რგოლი	გაყიდული ღირებულება (ლარი)	დანახარჯი (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)	დამატებული ღირებულების გადანაწილება (%)
ფერმერი	2.30	1.30	1.00	1.00	23%
შემგროვებელი/სამაცივრე მეურნეობა	4.20	3.10	1.10	1.90	44%
საცალოდ მოვაჭრე	5.60	4.80	0.80	1.40	33%
ჯამი			**2.90**	**4.30**	**100%**

წყარო: ავტორების გაანგარიშება

გადამყიდველი, რომელიც გარკვეული პერიოდი მაცივარში ინახავს მაყვალს რომ ფასი როდესაც აიწევს მერე მიაწოდოს ბაზარს, ქმნის ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას ჯაჭვში (44%), მას მოყვება ფერმერი (23%) და საცალოდ მოვაჭრე (33%).

6. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ანალიზი

6.1 დაფინანსების საშუალებები

პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ თავში მიმოხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების საშუალებები და ბარიერები. ყურადღება გამახვილებულია მაყვლის კულტურასა და კახეთის რეგიონზე.

ზოგადად, საქართველოში დაფინანსების მთავარ წყაროს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ. აღნიშნული ორგანიზაციები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს სთავაზობენ როგორც სესხებს, ასევე სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, მიმდინარე ანგარიშებისა და დეპოზიტების გახსნას.

ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციით, სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისინი, ძირითადად, ხელმძღვანელობენ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, საპროგნოზო შემოსავლებზე, მათ მიმდინარე ვალდებულებებსა და სესხის მომსახურების დაფარვის ხარისხზე ინფორმაციით. მათივე ინფორმაციით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, კომპონენტია სესხის უზრუნველყოფა. სესხის უზრუნველყოფა, ძირითადად, ხდება უძრავი ქონებით, როგორიცაა სახლი ან მიწა (საძოვარი, ვენახი). თუმცა, აღნიშნავენ, რომ უზრუნველყოფისათვის მხოლოდ მიწა არ არის საკმარისი, მისი დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე.

ფინანსური ინსტიტუტების გარდა, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისთვის დაფინანსების მოძიების ალტერნატიული წყაროა სოფლის მეურნეობის სფეროს წახალისების მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამები.

6.1.1 სოფლის მეურნეობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამები

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA)[12], რომელიც ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ახორციელებს და მართავს აღნიშნული სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს. პროგრამების ფარგლებში სააგენტო აფინანსებს სოფლის მეურნეობაში ჩართულ თითქმის ყველა ძირითად რგოლს, რეგიონების მიხედვით. ქვემოთ ჩამოთვლილია პროექტები, რომლების ფარგლებშიც მოხდა ბენეფიციარების დაფინანსება კახეთის რეგიონში. **დანერგე მომავალი**[13]

პროგრამა მიზნად ისახავს არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას და ადგილობრივი სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას, რაც ჩაანაცვლებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს. აღნიშნული პროექტი დაიწყო 2015 წელს.

[12] სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

[13] http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

პროგრამას აქვს ორი კომპონენტი:

- მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი – ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულება (არა უმეტეს 70%) და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა (50%).

- სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი – ხდება განსაზღვრული დასაფინანსებელი ღირებულების არა უმეტეს 50%-ის თანადაფინანსება, ჯამურად არა უმეტეს 150 000 ლარი.

ორივე კომპონენტის შემთხვევაში, ბენეფიციარებს ამ სფეროში ინოვაციების გასაცნობად ასევე ტრენინგები.

კახეთის რეგიონში პროგრამის ფარგლებში 2015-2018 წლებში დაფინანსებულია მხოლოდ მრავალწლიანი ბაღები. აღსანიშნავია, რომ მაყვლის კულტურის დაფინანსება პროგრამას 2018 წლის მაისიდან დაემატა[14]. 2015-2018 წლებში საქართველოს რეგიონებს შორის, შიდა ქართლის (309 ბაღი) შემდეგ კახეთში (234 ბაღი) ყველაზე მეტი მრავალწლიანი ბაღი დაფინანსდა.

ცხრილი 4. პროგრამა „დანერგე მომავლის“ შედეგები 2015-2017

წელი	ბენეფიციარების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	სააგენტოს თანადაფინასნება (₾)
2015	18	156	555,751
2016	63	544	2,282,776
2017	97	770	3,643,282
2018	56	537	2,691,378
სულ	**234**	**2007**	**9,173,187**

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა[15]

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში და ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამის მიზანია პროდუქციის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა (პირველადი წარმოების კომპონენტი) და გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი). შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

1. პირველად წარმოებას;
2. გადამამუშავებელ და შემნახველ წარმოებას.

[14] http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2018-05-25-kidev-erti-mxardatshera-kenkrovani

[15] http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან და მოიცავს კენკროვან კულტურებსაც. კახეთში აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდა მხოლოდ პირველადი წარმოება, 2017 წელს 27 პროექტი – 350,934 ლარით, ხოლო 2018 წელს 56 პროექტი – 721,084 ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებს შორის 2016-2017 წლებში შიდა ქართლის შემდეგ (144 ბენეფიციარი), კახეთში (83 ბენეფიციარი) ყველაზე მეტი ბენეფიციარი დაფინანსდა.

შეღავათიანი აგროკრედიტი[16]

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები კომერციული ბანკებისგან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. ამისათვის ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ წინასწარ განსაზღვრულ პირობებს.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება გარკვეულ პროცენტზე;

2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება სესხზე და მისი მეორადი უზრუნველყოფა (სახელმწიფო აანაზღაურებს სრულ თანხას, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს გადახდას);

3. შეღავათიანი აგროლიზინგი – სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსება;

4. **სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“[17]** – პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეს პროგრამა ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას ან არსებულის გაფართოებას, რომლებიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. ხდება როგორც სესხის თანადაფინანსება, ასევე შეღავათიანი პერიოდის დაწესება (გარკვეული პერიოდი, როდესაც საწარმო არ იხდის პერიოდულ გადასახადს).

ჩამოთვლილი ოთხივე კომპონენტი აფინანსებს როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს. ლიზინგის შემთხვევაში, ხდება იმ კომპანიების დაფინანსებაც, რომლებიც აწარმოებენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს. „აწარმოე საქართველოში“ ასევე აფინანსებს ინფრასტრუქტურულ საწარმოებსაც, როგორებიცაა მარცვლეულის საშრობები, საწყობები და სამაცივრე მეურნეობები.

[16] http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

[17] http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/; http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2013-2017 წლებში, საქართველოს რეგიონებს შორის, კახეთში ყველაზე მეტი ბენეფიციარი დაფინანსდა.

ცხრილი 5. პროგრამა „შეღავათიანი აგრო კრედიტის“ შედეგები 2013-2017

წელი	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (₾)	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (₾)[1]
2013	2387	100,153,400	176	26,946,122
2014	5,270	208,913,446	157	26,424,070
2015	1,520	108,213,681	236	22,883,106
2016	496	44,992,683	346	27,480,822
2017	1,056	182,461,848	12	2,847,977
სულ	**10,729**	**644,735,057**	**927**	**106,582,096**

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი[19]

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეუნეობის სექტორში შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და გაფართოებას. პროგრამის ფარგლებში, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება სამი გზით არის შესაძლებელი – სააგენტოს თანადაფინანსებით, შეღავათიანი კრედიტით/ლიზინგით ან ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობით. აღნიშნული პროექტი 2014 წლიდან დაიწყო.

2016 წელს კახეთში დაფინანსდა 2 გადამამუშავებელი საწარმო 388,320 დოლარით და 1 შემნახველი საწარმო – 231,200 დოლარით. 2017 წელს დაფინანსდა 3 გადამამუშავებელი საწარმო (600 000 ლარით და 402,240 დოლარით), ხოლო 2018 წელს 2 გადამამუშავებელი და 2 შემნახველი საწარმო, შესაბამისად 570,200 და 1,124,772 ლარით.

არსებობს ისეთი სახელმწიფო პროგრამებიც, რომლებიც არ გულისხმობს პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუწყოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს დაფინანსების მოპოვებაში.

აგროდაზღვევა[20]

პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, APMA-ს ხელშეკრულება აქვს ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც ახდენს მეურნეობების სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

[18] 2017 წელს ვალუტის მიხედვით გაცემული თანხების შეცვლილი სტრუქტურა, თანხის გაზრდილი მოცულობა ლარში და შემცირებული დოლარში შესაძლოა, აიხსნას ეროვნული ბანკის ლარიზაციის პოლიტიკით. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3030

[19] http://apma.ge/projects/read/grant/6:parent

[20] http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent

პროგრამის ფარგლებში ხდება სეტყვით, წყალდიდობით, ქარიშხლით ან ყინვით დაზიანებადი კულტურების დაზღვევა. დამზღვევი ფინანსდება 70%-ით ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა (50% თანადაფინანსება). შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე კულტურის დაზღვევაც.

ცხრილი 6. პროგრამა „აგროდაზღვევის“ შედეგები 2014-2017

წელი	პოლისის რ-ბა	სადაზღვევო ლიმიტი, ₾	სადაზღვევო პრემია, ₾	სააგენტოს მიერ გადახდილი პრემიის წილი, ₾	დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის წილი, ₾	ფარეთობი, ჰა
2014	4,101	87,863,187	7,422,904	6,972,552	449,814	9,685
2015	1,339	13,665,234	1,261,030	648,120	605,577	1,675
2016	5,890	53,506,276	4,699,148	2,992,245	1,706,903	6,846
2017	10,062	80,843,620	6,984,075	4,167,899	2,811,762	11,489

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში ამ პროგრამაში მონაწილეების რაოდენობა 2015 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდება. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით პოლისების რაოდენობა 1.7-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებს შორის, აჭარის შემდეგ, ყველაზე მეტი ბენეფიციარი ამ პროგრამას კახეთში ჰყავს.

ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი[21]

პროექტი ითვალისწინებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც სასოფლო-სამეურნეო აქტივების და მათი მესაკუთრეების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაცია განთავსდება ერთიან ელექტრონულ სივრცეში.

პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს 100,000-მდე ფერმის რეგისტრაცია, ხოლო გრძელვადიანად ბაზაში აისახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი. ბაზის შექმნის შემდგომ, პერიოდულად მოხდება ინფორმაციების მოძიება და განახლება. პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონებში ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას, რადგან გაამარტივებს ჯაჭვის მონაწილეების იდენტიფიცირებას და გააუმჯობესებს მონაცემების სანდოობას.

6.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა უმრავლესობა, ფულადი სახსრების საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს ბანკებს, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებს. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ბარიერებად დასახელდა მაღალი პროცენტი სესხებზე და ასევე მაღალი უზრუნველყოფის მოთხოვნა საბანკო სისტემის მიერ, რაც განსაკუთრებით პრობლემაა გადამამუშავებელი საწარმოებისთვის,

[21] http://apma.ge/projects/read/farms-farmers_registration_project/

რომლებსაც შედარებით დიდი მოცულობის სესხი ესაჭიროებათ ბიზნესის წამოსაწყებად და სამართავად და, შესაბამისად, ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფაც მაღალია. პრობლემად დასახელდა ასევე ბიუროკრატიული პროცესები, რომლებიც ხელს უშლის მსესხებლებს, დროულად მიიღონ საჭირო ფინანსები.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა უმრავლესობისთვის ცნობილია, სახელმწიფო პროგრამების შესახებ, როგორიცაა: აწარმოე საქართველოში, შეღავათიანი აგროკრედიტი, დანერგე მომავალი. თუმცა, მათ უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია რომელიმე სახელმწიფო პროგრამაში დაფინანსების მოსაპოვებლად. გამოკითხულთაგან მხოლოდ შვიდმა მიმართა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს დაფინანსების მოსაპოვებლად, მათგან სამს აქვს მოპოვებული დანერგე მომავალის დაფინანსება, ორს შეღავათიანი აგროკრედიტი, ერთს USAID-ის Reap. ხოლო ერთმა მონაწილემ უარი მიიღო დაფინანსების მოპოვებაზე, კერძოდ მიმართა დანერგე მომავლის პროგრამას, თუმცა ვერ დააკმაყოფილა პროგრამის მოთხოვნები, რადგან საკუთრებაში არ ჰქონდა 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

ფინანსური ინსტიტუტები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ძირითად ბარიერად ასახელებენ ფინანსურ განათლებას; მათი განცხადებით ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები არ აწარმოებენ ფინანსურ ანგარიშს, შესაბამისად, უჭირთ შემოსავლების დადასტურება. აღნიშნული ართულებს ბანკების მიერ სესხების გაცემას. ფინანსური ინსტიტუტების განცხადებით, დარგში არსებული საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმ რისკებს, რაც აღნიშნულ სექტორს ახასიათებს.

ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა, მაგ., შეღავათიანი აგროკრედიტი გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ სესხის აღებას, რომლის პროცენტის სუბსიდირებასაც ახდენს სააგენტო. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ APMA-ს ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში (დანერგე მომავალი და შემნახველი საწარმოების პროგრამა), სააგენტოს წინასწარ აქვს განსაზღვრული იმ დოკუმენტების და ინფორმაციის ნუსხა, რაც უნდა შეავსოს და წარმოადგინოს პოტენციურმა ბენეფიციარმა. შესაბამისად, ტექნიკური ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ყველა განაცხადი ფინანსდება.

ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ჯაჭვის მონაწილეებს შორის საკონტრაქტო შეთანხმებების არსებობა[22]. აღნიშნული ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის, რადგან კონტრაქტების საშუალებით მარტივდება მსესხებლის შემოსავლების დადასტურება და გადახდისუნარიანობის შეფასება, შედეგად მცირდება რისკები და მარტივდება მათზე სესხის გაცემა. მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების განცხადებით, მათ წინასწარ არ აქვთ გაფორმებული შეთანხმებები შემსყიდველებთან.

სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათი ერთ-ერთი მიზანი ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა და, შესაბამისად ჯაჭვის რგოლებისათვის ფულადი სახსრების მიწოდებაა. აქედან გამომდინარე, ფერმერების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების წარმომადგენლების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვით, შესაძლებელია მათი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

[22] იგულისხმება დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ მეწარმე ჩართულია ჯაჭვში და აქვს კავშირი ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან.

7. სექტორის განვითარების პოტენციალი ეროვნულ ბაზარზე

7.1 დასაქმების შესაძლებლობები

როგორც ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ კახეთის რეგიონში მაყვლის მწარმოებელი ფერმერების რაოდენობა ჯერ მცირეა, ეს დარგი სწრაფი ტემპით ვითარდება და უკვე საკმაოდ ბევრი ოჯახია დაინტერესებული მაყვლის ბაღების გაშენებით. გარდა მაყვლის მწარმოებელი ფერმერებისა, მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვში სეზონურად დასაქმებულია საკმაოდ ბევრი ადამიანი (1 ჰექტარზე საშუალოდ 10 ადამიანი), მაყვლის მოსავლის აღების დროს მუშახელის დღიური ანაზღაურება შეადგენს 25-30 ლარს ან გამომუშავებით – მოკრეფილ 1 კილოგრამ მაყვალზე 50 თეთრი. მაყვლის წარმოება მოითხოვს სამუშაო ძალის დიდ რაოდენობას, მუშახელი ჩართულია მაყვლის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ჩასატარებელი სამუშაოები მოიცავს ძირებს შორის გათოხნას, სარეველების მოშორებას, გასხვლას, დაკავებას და მოკრეფას. მაყვლის კრეფა საკმაოდ შრომატევადი და საფრთხილო პროცესია, ასევე დაკრეფიდან უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს მისი რეალიზება, რადგან მაყვალი საკმაოდ მალფუჭებადი პროდუქტია. შესაბამისად, მოსავლის აღება-დაბინავების ეტაპზე ოჯახის წევრების გარდა, სეზონურად დასაქმებულია ბევრი ადამიანი. მაყვლის წარმოების გაზრდა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ადამიანის დასაქმებას ამ მიმართულებით.

7.2 შემოსავლების გენერირება

მართალია, ეს დარგი ახალია და განვითარების პროცესშია, მაგრამ საკმაოდ ბევრი ადამიანი ინტერესდება და აპირებს მაყვლის კულტურის გაშენებას და მთლიანად აღნიშნული სფეროთი დაკავებას. კვლევისას გამოიკვეთა, რომ დიდი რაოდენობით ნერგის შეკვეთები აქვთ მიღებული სანერგე მეურნეობებს და 2019 წლიდან ბევრი ახალგაზრდა აპირებს მაყვლის გაშენებას. ასევე, ზოგიერთი ფერმერი გეგმავს საოჯახო მარნის გაკეთებას, სადაც საშუალება ექნებათ როგორც უცხოელ ტურისტებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, მიიღონ სხვადასხვა მომსახურება, მათ შორის დააგემოვნონ მაყვლის ღვინო.

გამოკითხული ფერმერები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მაყვლის სექტორს აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, მთავარია გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, მეტმა ადამიანმა გააშენოს მაყვალი და შესაბამისი რაოდენობით წარმოების შემთხვევაში, მაყვალი გავა ექსპორტზე, რაც აისახება როგორც თითოეული ოჯახის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე.

რამდენადაც ამ ეტაპზე ჯერ სრულ მსხმოიარობაში მყოფი ბაღები ფაქტობრივად არ არსებობს, ფერმერთათვის მაყვლის ბაღებიდან მიღებული შემოსავლები ჯერჯერობით არ არის შემოსავლის ძირითადი წყარო. თუმცა, ბევრი ფერმერი ამ მიმართულებით სერიოზულად არის დაინტერესებული და იმედოვნებს, რომ მომავალში მაყვლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მისი შინამეურნეობისათვის შემოსავლის ძირითადი წყარო იქნება. მაყვლის პლანტაციების მფლობელი ოჯახების გარდა, მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვში სეზონურად დასაქმებულია

უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით მოსავლის აღებისას, როცა მუშახელზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, რაც მრავალი ოჯახისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. შესაბამისად, ამ დარგის განვითარება ნიშნავს უფრო მეტ დასაქმებულს და შედეგად მეტი ოჯახის შემოსავალს.

7.3 გარემოზე მავლენა

რაც შეეხება გარემოზე ზეგავლენას, როგორც წესი, ინტენსიური ფერმერული წარმოება, როგორიცაა მაყვლის წარმოება, გარკვეულ გავლენას ახდენს გარემოზე.

ბიოწარმოებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას. ამისათვის, მნიშვნელოვანია აგროსაშუალებების მომწოდებლებმა დაამატონ ბიოპრეპარატები და ფერმერებს მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, თუ რომელი წარმოების საშუალებები გამოიყენონ და რა აგროვადებში.

8. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობის პოტენციალი

8.1 მაყვლის სექტორი მსოფლიოში

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ცალკე არ გამოყოფს მაყვლის წარმოებას, არამედ აგრეგირებულად აქვეყნებს სხვა კენკროვნებთან ერთად, გარდა მარწყვის, ჟოლოს, მოცვისა და კოწახურისა. 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში მაყვალს[23] აწარმოებდა 61 ქვეყანა. 2016 წელს 123 ათასი ჰექტარი მაყვლის პლანტაციიდან მსოფლიოში დაახლოებით 984 ათასი ტონა მაყვალი იქნა წარმოებული, რომელიც კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: აზია (36,3%), ამერიკა (30,1%), ევროპა (21,2%), ოკეანეთი (12,1%) და აფრიკა (0,3%).

რუკა 1: მაყვლის მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში.



წყარო: FAOSTAT (20.09.2018)

მაყვლის[24] მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული კი შემდეგნაირად გამოიყურება (გრაფიკი 3).

[23] მაყვალთან ერთად განიხილება სხვა კენკროვნებიც, გარდა მარწყვის, ჟოლოს, მოცვისა და კოწახურისა.

[24] მაყვალთან ერთად განიხილება სხვა კენკროვნებიც, გარდა მარწყვის, ჟოლოს, მოცვისა და კოწახურისა.

გრაფიკი 3: მაყვლის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული (2016 წლის მონაცემები).



წყარო: FAOSTAT (20.09.2018)

მსოფლიოს საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებელი ერთ ჰექტარზე 2016 წელს იყო 6.5 ტონა/ჰა. ამ მაჩვენებელს ბევრად აღემატება იმ ქვეყნების საშუალო მოსავლიანობა, რომლებიც ლიდერობენ ამ კომპონენტში (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: ქვეყნები მაყვლის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე (2016 წელი).



წყარო: FAOSTAT (20.09.2018)

8.2. მაყვლით ვაჭრობა მსოფლიოში

სამწუხაროდ, საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემებში მაყვალი ცალკე არ გვხვდება და მასთან ერთად ჯგუფში შედის: ჟოლო, თუთა და ლოგანის კენკრა. ამ კატეგორიის კენკრაში ვაჭრობის ორი კატეგორიაა მნიშვნელოვანი: ახალი ხილის სახით და გაყინული სახით. თითოეული განვიხილოთ ცალ-ცალკე. 2012 წელთან შედარებით გაორმაგდა ამ კატეგორიის კენკრის ექსპორტის ღირებულება და 2017 წელს მსოფლიოში ახალი (fresh) მაყვლით (ჟოლოს, თუთასა და ლოგანის კენკრასთან ერთად) ვაჭრობამ დაახლოებით 1.65 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (267 ათასი ტონა). პროდუქციის ერთეულის ფასიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ამ კატეგორიის კენკრის ნედლი სახით ექსპორტზე ლიდერობენ მექსიკა და ესპანეთი, ხოლო უმსხვილესი იმპორტიორები არიან აშშ და კანადა.

ცხრილი 7: ნედლი (ახალი) მაყვლის, ჟოლოს, თუთისა და ლოგანის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს (რაოდენობის მიხედვით)

ექსპორტიორი ქვეყნები	რაოდენობა (ტონა)	იმპორტიორი ქვეყნები	რაოდენობა (ტონა)
მექსიკა	76,951	აშშ	162,409
ესპანეთი	50,318	კანადა	36,689
აშშ	41,208	გერმანია	33,321
პორტუგალია	19,783	გაერთიანებული სამეფო	23,050
ჰოლანდია	17,609	საფრანგეთი	19,335

წყარო: ITC – Trade Map (20.09.2018)

მაყვლის ექსპორტზე გატანა ხდება, როგორც ნედლი სახით, ასევე გაყინული სახით. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, მაყვალი მოცემულია ჟოლოს, თუთის და ლოგანის კენკრასთან ერთად. ამ პროდუქტების ექსპორტმა 2017 წელს 885 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (452 ათასი ტონა), რაც ბოლო 5 წლის მინიმალური მაჩვენებელია. წინა წლებში ამ კატეგორიის გაყინული კენკრის საექსპორტო ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან შეინიშნება გაყინული კენკრის საექსპორტო ფასის შემცირება ერთ ერთეულზე. ამ კატეგორიის გაყინული კენკრის ვაჭრობაში ლიდერობენ ევროპული ქვეყნები, ექსპორტში სერბეთი და პოლონეთი, ხოლო იმპორტში გერმანია და საფრანგეთი.

ცხრილი 8: გაყინული მაყვლის, ჟოლოს, თუთისა და ლოგანის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს (რაოდენობის მიხედვით)

ექსპორტიორი ქვეყნები	რაოდენობა (ტონა)	იმპორტიორი ქვეყნები	რაოდენობა (ტონა)
სერბეთი	123,599	გერმანია	110,871
პოლონეთი	113,522	საფრანგეთი	39,526
ჩილე	45,849	აშშ	34,402
ბოსნია და ჰერცოგოვინა	24,022	ბელგია	34,243
ჰოლანდია	19,241	ჰოლანდია	25,224

წყარო: ITC – Trade Map (20.09.2018)

რაც შეეხება ფასთა სხვაობას ნედლ და გაყინულ კენკრას შორის, 2017 წელს გაყინული კენკრის საშუალო საექსპორტო ფასი დაფიქსირდა 1,96 აშშ დოლარი/კგ, მაშინ, როცა ახალი კენკრის საექსპორტო ფასი იყო 6,18 აშშ დოლარი/კგ., ანუ ახალი კენკრა დაახლოებით 3-ჯერ ძვირი ღირდა საერთაშორისო ბაზარზე, ვიდრე გაყინული.

8.3 საქართველოს მაყვლის ექსპორტ-იმპორტი

8.3.1 ახალი მაყვლის საერთაშორისო ვაჭრობა

საქართველოში მაყვლის სავაჭრო ბრუნვა უმნიშვნელოა. 2018 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში ახალი მაყვლისა და თუთის სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ მხოლოდ 200 დოლარი შეადგინა.

საქართველო არის ახალი მაყვლის წმინდა იმპორტიორი, სავაჭრო სალდო მხოლოდ 2015 წელს იყო დადებითი, როდესაც ექსპორტის მოცულობამ იმპორტის მოცულობას 1400 აშშ დოლარით გადააჭარბა.

გრაფიკი 5: ახალი მაყვლისა და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოში



წყარო: Geostat.ge

8.3.1.1 ახალი მაყვლის იმპორტი საქართველოში და საიმპორტო ქვეყნები

2013 წლიდან საქართველოში ახალი მაყვლის და თუთის იმპორტი ყოველ წელს ხორციელდება, ყველაზე მეტი მოცულობის იმპორტი ამ წლებში 2014 წელს განხორციელდა, როდესაც იმპორტირებული ახალი მაყვლის და თუთის მოცულობამ 1700 აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, იმპორტირებული ახალი მაყვლის და თუთის მოცულობა 45.3%-ით შემცირდა და 500 აშშ დოლარი იყო.

ძირითადი ქვეყნები, საიდანაც საქართველოში ახალი მაყვლის და თუთის იმპორტი ხორციელდება თურქეთი და ნიდერლანდებია. 2013 წლიდან მოყოლებული თურქეთიდან საქართველოში ახალი მაყვლის იმპორტი ყოველ წელს ხორციელდება, ყველაზე მეტი მოცულობით (232 აშშ დოლარის) ახალი მაყვალი და თუთა თურქეთიდან საქართველოში 2016 წელს შემოვიდა. ნიდერლანდებიდან საქართველოში მაყვლის და თუთის იმპორტი რყევებით ხასიათდება, ყველაზე მეტი მოცულობით (1668 აშშ დოლარის) მაყვალი და თუთა ნიდერლანდებიდან საქართველოში 2014 წელს შემოვიდა.

გრაფიკი 6: ახალი მაყვლის და თუთის იმპორტი საქართველოში (ქვეყნების მიხედვით)



წყარო: Geostat.ge

8.2.1.2 ახალი მაყვლის ექსპორტი საქართველოდან და საექსპორტო ქვეყნები

2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოდან ახალი მაყვლის და თუთის ექსპორტი მხოლოდ 2014 წელს სომხეთში და 2015 წელს რუსეთში განხორციელდა, შესაბამისად 200 და 1500 დოლარის ოდენობის.

გრაფიკი 7: ახალი მაყვლის და თუთის ექსპორტი საქართველოდან (ქვეყნების მიხედვით)



წყარო: Geostat.ge

8.3.2 გაყინული მაყვლის საერთაშორისო ვაჭრობა

გაყინული მაყვლის და თუთის[25] სავაჭრო ბრუნვა ბევრად აღემატება ახალი მაყვლის და თუთის სავაჭრო ბრუნვას. 2018 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში გაყინული მაყვლის და თუთის სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 9548 აშშ დოლარი შეადგინა.

მსგავსად ახალი მაყვლისა, საქართველო არის გაყინული მაყვლის წმინდა იმპორტიორი, სავაჭრო სალდო 2013 წლიდან მოყოლებული უარყოფითია.

გრაფიკი 8: გაყინული მაყვლის და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოში



წყარო: Geostat.ge

8.2.2.1 გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი საქართველოში და იმპორტიორი ქვეყნები

2012 წლიდან საქართველოში გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ყოველ წელს ხორციელდება, ყველაზე მეტი მოცულობის იმპორტი ამ წლებში 2016 წელს იყო, როდესაც იმპორტირებული დამუშავებული და გაყინული მაყვლის და თუთის მოცულობამ 19400 აშშ დოლარი შეადგინა (6.8 ტონა). 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, იმპორტირებული დამუშავებული და გაყინული მაყვლის და თუთის მოცულობა 70%-ით შემცირდა და 5900 აშშ დოლარი შეადგინა (2.8 ტონა).

2012-2018 (I-VII) წლებში საქართველოში გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი, ძირითადად, განხორციელდა ხუთი ქვეყნიდან: პოლონეთი, ბელგია, ნიდერლანდები, თურქეთი და გერმანია. 2012-2018 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში, თურქეთიდან დამუშავებული და გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი საქართველოში სტაბილურად ყოველწლიურად ხორციელდება. 2015 წლიდან სტაბილურ საიმპორტო ქვეყნებია ასევე პოლონეთი და გერმანია.

[25] მაყვალი და თუთა წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული.

გრაფიკი 9: გაყინული მაყვლისა და თუთის იმპორტი საქართველოში (ქვეყნების მიხედვით)



წყარო: Geostat.ge

8.2.2.2 გაყინული მაყვლისა და თუთის ექსპორტი საქართველოდან და საექსპორტო ქვეყნები

2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოდან გაყინული მაყვლისა და თუთის ექსპორტი მხოლოდ 2016 წელს თურქეთში და 2017 წელს ყატარში განხორციელდა, შესაბამისად 215 და 150 აშშ დოლარის ოდენობის (215 კგ და 150 კგ შესაბამისად).

გრაფიკი 10: გაყინული მაყვლისა და თუთის ექსპორტი საქართველოდან (ქვეყნების მიხედვით)



წყარო: Geostat.ge

8.3. ახალი მაყვლის, თუთისა და ლოგანის კენკრის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში

ევროკავშირის ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 44.2 მილიონი ევრო შეადგინა. ევროკავშირი არის ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის წმინდა იმპორტიორი, შესაბამისად, მისი სავაჭრო სალდო უარყოფითია.

გრაფიკი 11: ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში



წყარო: European Comission

8.3.1 ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი ევროკავშირში და საიმპორტო ქვეყნები

ევროკავშირში ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი 2012-2017 წლებში, 2016 წლის გარდა, ყოველ წელს იზრდებოდა. 2017 წელს ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტის ღირებულებამ კი 37.3 მილიონი ევრო შეადგინა (8000 ტონა), რაც 20.3%-ით აღემატება 2016 წლის ღირებულებას. ასეთი ზრდის მაჩვენებელი რეკორდულია ბოლო წლებში. საშუალო საიმპორტო ფასი 4.66 ევრო/კგ დაფიქსირდა.

2017 წელს პირველი ხუთი ქვეყანა, საიდანაც ევროკავშირში ყველაზე მეტი რაოდენობის ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი განხორციელდა, შემდეგია: მექსიკა, გვატემალა, სერბეთი, სამხრეთ აფრიკა და მაროკო.

გრაფიკი 12: ახალი მაყვლის, თუთისა და ლოგანის კენკრის იმპორტი ევროკავშირში (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა)



წყარო: European Comission

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ევროკავშირში ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი 2012-2017 წლების პერიოდში არ განხორციელებულა. თურქეთიდან, 2012 და 2015 წლების გარდა, ევროკავშირში აღნიშნული კენკროვნების იმპორტი ყოველ წელს ხორციელდება. საქართველოდან ევროკავშირში ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის იმპორტი 2012-2017 წლების პერიოდში არ განხორციელებულა.

8.3.2 ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი ევროკავშირიდან და საექსპორტო ქვეყნები

2017 წელს ევროკავშირმა 6.9 მილიონი ევროს ღირებულების ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი განახორციელა (905 ტონა), რაც 16%-ით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე. საშუალო საექსპორტო ფასი 2017 წელს დაფიქსირდა 7.67 ევრო/კგ.

2017 წლის მდგომარეობით პირველი ხუთი ქვეყანა, საიდანაც ევროკავშირიდან ყველაზე მეტი რაოდენობის ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი განხორციელდა შემდეგია: შვეიცარია, ნორვეგია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, რუსეთი და კატარი.

გრაფიკი 13: ახალი მაყვლის, თუთის და ლოგანის კენკრის ექსპორტი ევროკავშირიდან (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა)



წყარო: European Comission

8.4. გაყინული მაყვლისა და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში

ევროკავშირის გაყინული მაყვლისა და თუთის სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 37.6 მილიონი ევრო შეადგინა. ევროკავშირი არის გაყინული მაყვლის და თუთის წმინდა იმპორტიორი, რაც ქვემოთ გრაფიკზეც კარგად ჩანს (გრაფიკი 14).

გრაფიკი 14: გაყინული მაყვლის და თუთის საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირში (2012-2017 წწ.)



წყარო: European Comission

8.4.1 გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ევროკავშირში და საიმპორტო ქვეყნები

2012 წლიდან ევროკავშირში გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ყოველ წელს იკლებს (გარდა 2015 წლისა). 2017 წელს გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტის ღირებულებამ ევ-როკავშირში 35.1 მილიონი ევრო შეადგინა (33238 ტონა), რაც 10.1%-ით ჩამოუვარდება 2016 წლის მოცულობას. საშუალო საიმპორტო ფასი კი 1.05 ევრო/კგ იყო.

2017 წელს ხუთი ქვეყანა, საიდანაც ევროკავშირში ყველაზე მეტი რაოდენობის დამუშავებული მაყვლის და თუთის იმპორტი განხორციელდა, შემდეგია: სერბეთი, ჩილე, უკრაინა, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩინეთი.

გრაფიკი 15: გაყინული მაყვლის და თუთის იმპორტი ევროკავშირში (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა)



წყარო: European Comission

8.4.2 გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან და საექსპორტო ქვეყნები

2017 წელს ევროკავშირმა 2.5 მილიონი ევროს ღირებულების (1304 ტონა) გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი განახორციელა 163 ქვეყანაში. ეს მაჩვენებელი 6.8%-ით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე. საშუალო საექსპორტო ფასი 1 კილოგრამ გაყინულ მაყვალსა და თუთაზე დაფიქსირდა 1.95 ევრო/კგ.

2017 წელს ხუთი ქვეყანა, სადაც ევროკავშირიდან ყველაზე მეტი რაოდენობის დამუშავებული მაყვლის და თუთის ექსპორტი განხორციელდა, შემდეგია: აშშ, შვეიცარია, სერბეთი, ნორვეგია, ისრაელი.

გრაფიკი 16: გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან (2017 წლის 5 უმსხვილესი ქვეყანა)



წყარო: European Comission

ევროკავშირიდან საქართველოში აღნიშნული კენკროვნების ექსპორტი 2014 წლიდან ხორციელდება, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით. 2017 წელს დამუშავებული მაყვლის და თუთის ექსპორტის მოცულობამ ევროკავშირიდან საქართველოში 3583 ევრო შეადგინა (3 ტონა), 42.3%-ით ნაკლები 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საშუალო ფასი კი განისაზღვრა 1.2 ევრო/კგ.

გრაფიკი 17: გაყინული მაყვლის და თუთის ექსპორტი ევროკავშირიდან საქართველოში



წყარო: European Comission

შევჯამების სახით, ევროკავშირი ახორციელებს მაყვლის იმპორტს, როგორც ახალი, ისე გაყინული სახით. ახალი მაყვლის ფასი 4-ჯერ და მეტჯერ ძვირია, ვიდრე გაყინულის, რომლის საშუალო ფასი 2017 წელს 1.05 ევრო/კგ-ზე დაფიქსირდა. მათ შორის სერბეთი, რომელზეც 2017 წელს ევროკავშირში განხორციელებული გაყინული მაყვლისა და თუთის იმპორტის 80% მოდიოდა (26751 ტონა), საშუალო ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო 0.92 ევრო/კგ.

8.5 ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები/სტანდარტები

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების მიხედვით საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზარზე მაყვალთან დაკავშირებით არ მოქმედებს საბაჟო გადასახადები (სხვა ქვეყნებისთვის მაყვალზე გადასახადი შეადგენს 9.6%-ს)[26], არც სატარიფო კვოტა. მაყვალი არც ბაზარზე შესვლის ფასს და არც გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს ექვემდებარება. თუმცა, გასათვალისწინებელია წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო ტარიფის გარეშე შესასვლელად, უნდა იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოებული საქართველოში. წარმოშობასთან დაკავშირებულ სერტიფიკატს-EUR.1-ს (პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი) გასცემს საქართველოს შემოსავლების სამსახური. სერტიფიკატის გაცემისთვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს შემოსავლების სამსახურში შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმის საშუალებით, სერტიფიკატის აღება უფასოა ქართველი ექსპორტიორებისთვის[27]. მთლიანად საქართველოში წარმოშობილად მიიჩნევა საქართველოში მოყვანილი პროდუქცია; ხოლო ნაწილობრივ წარმოშობილად მიჩნეულია პროდუქცია, რომლის მასალებმა საქართველოში განიცადა საკმარისი დამუშავება.

დღეს ტექნიკური სავაჭრო ბარიერები (TBT), რომლებიც მოიცავს ტექნიკურ რეგულაციებს, სტანდარტებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს და სერტიფიცირების პროცედურებს, დამაბრკოლებელ ბარიერს წარმოადგენს საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად. ქართული პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად საჭიროა აკმაყოფილებდეს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებს.

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად ევროკავშირს დაწესებული აქვს ფიტოსანიტარული მოთხოვნები, რაც საზიანო ორგანიზმებისგან პროდუქციის დაცვის გარანტიას უზრუნველყოფს. ევროკავშირის ბაზარზე შესვლისთვის საქართველოში წარმოებული მაყვალი უნდა აკმაყოფილებდეს ევროპაში დაწესებულ ჯანმრთელობის და ჰიგიენის მოთხოვნებს, საჭიროა ჯანმრთელობის სერტიფიკატი. ასეთ სერტიფიკატს წარმოადგენს GLOBALG.A.P.

სურსათის უვნებლობისთვის სახიფათო ნებისმიერი მავნებელი დანამატის და პესტიციდების გამოყენება წარმოებისას აკრძალულია. ასევე, პროდუქტი არ უნდა იყოს დაბინძურებული მძიმე მეტალებით და დაცული იყოს სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები. მაყვლის მწარმოებლებისათვის ძირითადი მოთხოვნაა, რომ დანერგონ ჰიგიენის დაცვის პრაქტიკა, რადგან მაყვალი არ ირეცხება კრეფის შემდეგ, შესაბამისად, სუფთა ხელებით მუშაობა კრეფის სეზონის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზაში მითითებულია 457 განსხვავებული პესტიციდის დასაშვები დონე, გაყინული მაყვლის შემთხვევაში.

ფერმერს უნდა გააჩნდეს ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, რომლის ღირებულება 25 ლარია, ხოლო, მძიმე ლითონების ანალიზის საფასური შეადგენს დაახლოებით 160 ლარს.

ევროკავშირში პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სერტიფიკატია GLOBALG.A.P. ეს არის ერთგვარი ბილეთი ევროპის ბაზრისკენ. ამ სერტიფიკატის გამცემი ორგანო საქართველოში არ მდებარეობს. საქართველოსთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს არის თურქეთის ოფისი. ამ სერტიფიკატის ღირებულება დაახლოებით 10 000 დოლარია[28].

---

[26] http://trade.ec.europa.eu/tradehelp/myexport#?product=0810209000&partner=GE&reporter=DE

[27] http://www.rs.ge/5037

[28] აქედან 5000 დოლარი არის კონსულტაციის ხარჯი. ამ ხარჯს ემატება კონსულტაციის შედეგების გათვალისწინების ხარჯი. დანარჩენი 5000 დოლარი ხმარდება აუდიტორის ჩამოყვანას, მომსახურებას და სერტიფიკატის გაცემას.

8.6 ლოგისტიკა

დროული მიწოდება, შეფუთვა, შენახვა, დასაწყობება, ხარისხის უზრუნველყოფა, გაყინვა, საჭირო დოკუმენტაციის უზრუნველყოფა – ის ძირითადი პროცესებია, რომლებიც აუცილებელია ევროპის ბაზარზე მოსახვედრად.

ლოგისტიკა მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაყვლის მცირე რაოდენობით წარმოების გამო, მაყვლის ექსპორტის განხორციელება ევროკავშირში სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაფუთი და სამაცივრე სისტემების ნაკლებობა ასევე დაბრკოლებაა მაყვლის ექსპორტისთვის.

საქართველოში ლოგისტიკური სისტემის არაეფექტიანობაზე მიუთითებს ასევე მსოფლიო რეიტინგებში დაბალი პოზიციები, ლოგისტიკის ეფექტიანობის კომპონენტში. მსოფლიო ბანკის „ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსში“ საქართველო 2016 წელს 130-ე ადგილს იკავებდა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ საქართველოს ასევე ცუდი პოზიციები უკავია ინფრასტრუქტურის კომპონენტში, მოცემული ინდექსის მიხედვით დაბალია საგზაო, სარკინიგზო და საჰაერო ინფრასტრუქტურის ხარისხი.

მაყვლის ევროკავშირში ტრანსპორტირებისათვის აუცილებელია მაცივარ-მანქანა (20 ტონა მოცულობის), რომლის ღირებულება საშუალოდ 4500 ევროა. ასევე გასათვალისწინებელია ტრანსპორტირების დაზღვევის ხარჯი, რომელიც შეადგენს ზედნადებში მითითებული თანხის 0.2-0.35%-ს.

8.7 მაყვლის ფასები

როგორც ზემოთ ვნახეთ, მაყვლის ფასები ორ კატეგორიად უნდა გავყოთ, ახალი და გაყინული მაყვალი. მათ შორის ფასები 3-4-ჯერ განსხვავდება, ახალი, როგორც წესი, ბევრად ძვირი ღირს გაყინულთან შედარებით.

8.7.1 ახალი მაყვლის ფასი

ევროკავშირის ბაზარზე 1 კილოგრამი ახალი დაფასოებული მაყვლის ფასი სუპერმარკეტებში საშუალოდ 12-18 ევროს შეადგენს. ზოგადად, ევროკავშირის ბაზარზე მაყვლის ფასი დამოკიდებულია მის შეფუთვაზე, წარმოშობაზე და ასევე არის თუ არა ორგანულად წარმოებული, ასევე ფასი წლის განმავლობაში იცვლება და მერყეევია ქვეყნების მიხედვით[29]. ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ზოგჯერ 50%-ით იაფად იყიდება[30]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ. ევროკავშირში კენკროვნების შეტანის შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადანაწილებას წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე საშუალოდ შემდეგი სახე აქვს (გრაფიკი 18).

[29] CBI Product factsheet: Fresh berries in Germany 2016

[30] https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-berries/europe/

გრაფიკი 18: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვის მონაწილეებს შორის (ევროკავშირში კენკროვანი კულტურების იმპორტისას)



წყარო: https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-berries/europe/

ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოდის, რომ ევროკავშირში შესატანად გამზადებული მაყვლის ფასი შეადგენს ევროკავშირში სუპერმარკეტში არსებული მაყვლის ფასის 32%-ს, ხოლო უდიდესი წილი დამატებულ ღირებულებაში მოდის საცალოდ მოვაჭრეზე (44%). როგორც ზემოთ ვნახეთ, ახალი მაყვლისა და თუთის საშუალო საიმპორტო ფასი ევროკავშირში იყო 4.66 ევრო/კგ. საბოლოო მომხმარებლამდე ევროკავშირის სუპერმარკეტში ასეთი პროდუქტის ფასია 14.5 ევრო/კგ.

რაც შეეხება ახალი მაყვლის საბითუმო ფასს საერთაშორისო ბაზარზე, იგი მერყეობს წელიწადის თვეების მიხედვით 6-დან 16 აშშ დოლარამდე, სექტემბერში კი 10-11 აშშ დოლარის ფარგლებშია. ფასები ქვეყნებს შორის ბევრად განსხვავდება, მათ შორის სექტემბერში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მექსიკაში (1.5 აშშ დოლარი) და ყველაზე მაღალი ირლანდიაში (20 აშშ დოლარი/კგ)[31]. ახალი მაყვლის გარდა, საერთაშორისო ბაზარზე იყიდება გაყინული მაყვალი, მაყვლის კონცენტრატი და მაყვლის პიურე.

ბრიტანეთის სტატისტიკის ოფიციალური წყაროების მიხედვით, ახალი მაყვლის ფასი 3-დან 12 გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს, მათ შორის სექტემბერში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფასი ფიქსირდება[32].

რამდენადაც დღეს საქართველოდან ევროკავშირში მაყვლის ექსპორტი არ ხორციელდება, ზემოთ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, შევეცადეთ ჰიპოთეზური მაგალითი გაგვეკეთებინა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ (დიაგრამა 4).

[31] https://www.tridge.com/intelligences/blackberry/price

[32] https://www.gov.uk/government/statistical-data-sets/wholesale-fruit-and-vegetable-prices-weekly-average

დიაგრამა 2: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში როდესაც ახალი მაყვლის რეალიზაცია ხდება ევროკავშირის ბაზარზე (ჰიპოთეზური მაგალითი)

ღირებულებათა ჯაჭვის რგოლი	გაყიდული ღირებულება (ლარი)	დანახარჯი (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)	მეოქმნილი დამატებული ღირებულების გადანაწილება (%)
ფერმერი	3.00	1.30	1.70	1.70	9%
ექსპორტიორი	7.50	5.00	2.50	4.50	24%
ტრანსპორტირება	9.30	8.30	1.00	1.80	10%
დისტრიბუტორი (საბითუმოდ მოვაჭრე)	12.00	11.00	1.00	2.70	14%
საცალოდ მოვაჭრე	20.00	16.00	4.00	8.00	43%
ჯამი			**10.20**	**18.70**	**100%**

წყარო: ავტორების გაანგარიშება

მოცემული მაგალითისთვის გაკეთებულია ჰიპოთეთური გათვლები, რომელიც ეფუძნება ბევრ დაშვებას. ევროკავშირში ექსპორტზე გატანის მთავარი გამოწვევა მაინც ტრანსპორტირებაა. რამდენადაც მაყვალი ფაქიზი და მალფუჭებადი პროდუქტია, მისი ტრანსპორტირებისადმი გამძლეობა ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე გამოწვევა არის პროდუქტის ხარისხის ევროკავშირში აღიარებული სერტიფიკატი (მაგ: GLOBALG.A.P), რაც, მცირე პლანტაციების შემთხვევაში, გართულებულია. მესამე გამოწვევა გახლავთ საექსპორტო რაოდენობის შეგროვება და უწყვეტი მიწოდება ევროკავშირში. თუ ახალი მაყვალი ტრანსპორტირებას გაუძლებს მინიმალური დანაკარგებით და შესაბამისი ხარისხითა და რაოდენობით მიეწოდება ევროკავშირის ბაზარს, მაშინ შესაძლებელია ქართულ მაყვალს ამ ბაზარზე გააჩნდეს საფასო უპირატესობა.

8.7.2 გაყინული მაყვლის ფასი

გაყინული მაყვალი ბევრი საბოლოო პროდუქტის ინგრედიენტად გამოიყენება, ამდენად დიდია მისი გამოყენება ევროკავშირშიც და მსოფლიოშიც. გაყინული მაყვლის ფასი, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ (თუთასთან ერთად), ევროკავშირში შეტანის შემთხვევაში, არის დაახლოებით 1 ევრო/კგ. თუ გაყინული მაყვალი გადაუმუშავებელი სახით სადისტრიბუციო კომპანიისა და სუპერმარკეტის გავლით ხვდება ევროპელი მომხმარებლის ხელში, იგი დაფასოებული სახით (როგორც წესი, 300-500 გრამიან კონტეინერებში) დაახლოებით 2-3 ევროს ფარგლებში ღირს.

ვინაიდან საქართველოდან ევროკავშირში გაყინული მაყვლის ექსპორტი ჯერ არ ხორციელდება, ზემოთ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით შევეცადეთ ჰიპოთეზური მაგალითი გაგვეკეთებინა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ (დიაგრამა 5).

დიაგრამა 3: დამატებული ღირებულების გადანაწილება ჯაჭვში, როდესაც გაყინული მაყვლის რეალიზაცია ხდება ევროკავშირის ბაზარზე (ჰიპოთეზური მაგალითი)

ღირებულებათა ჯაჭვის რგოლი	გაყიდული მაყვლის ღირებულება (ლარი)	დანახარჯი (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)	შეძენილი დამატებული ღირებულების გადანაწილება (%)
ფერმერი	2.30	1.30	1.00	1.00	9%
სამაცივრე მეურნეობა და ექსპორტიორი	3.50	3.00	0.50	1.20	11%
ტრანსპორტირება	4.50	4.00	0.50	1.00	9%
დისტრიბუტორი (საბითუმოდ მოვაჭრე)	7.00	5.50	1.50	2.50	24%
საცალოდ მოვაჭრე	12.00	10.00	2.00	5.00	47%
ჯამი			**5.50**	**10.70**	**100%**

წყარო: ავტორების გაანგარიშება

მოცემულია ჰიპოთეზური გათვლები, რომლებიც ეფუძნება ბევრ დაშვებას, თუმცა მოცემული დაშვებით ქართულ მაყვალს ევროკავშირის ბაზარზე საფასო უპირატესობა გააჩნია.

ქვემოთ მოცემულია მიწოდების არხები, თუ როგორ ხდება ევროკავშირში კენკრის მიწოდება და მისი გამოყენება (დიაგრამა 4 და დიაგრამა 5).

დიაგრამა 4: ვაჭრობის არხები, როდესაც ევროკავშირში გაყინული კენკრის იმპორტი ხდება



წყარო: https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/frozen-berries/europe/

ევროკავშირში იმპორტირებული გაყინული კენკრის ნახევარის კვლავ დაფასოება და მომხმარებლებისთვის მიწოდება ხდება, უმეტესწილად, სუპერმარკეტებში. კი ხილის გადამამუშავებელი ინდუსტრია იყენებს, რომლებიც უამრავი სახის საბოლოო პროდუქტს აწარმოებენ, მათ შორის: წვენები, ნაყინები, იოგურტი, საკონდიტრო ნაწარმი და კოსმეტიკური საშუალებებიც კი.

დიაგრამა 5: ევროკავშირში გაყინული კენკრის გამოყენება ხილის გადამამუშავებელი კომპანიების მიერ



წყარო: https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/frozen-berries/europe/ https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/frozen-berries/europe/

9. SWOT ანალიზი და დისკუსია

9.1 ძლიერი მხარეები და განვითარების პოტენციალი

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მაყვალი მაღალი ღირებულების მქონე მრავალწლიანი კენკროვანი კულტურაა, რომლის მოყვანა შესაძლებელია საქართველოს მრავალფეროვან აგროკლიმატურ პირობებში, განსაკუთრებით კახეთში. მართალია, დღესდღეობით, მაყვალი დიდი რაოდენობით არ მოჰყავთ, მაგრამ მისი წარმოების გაფართოება პერსპექტიულია და საკმაოდ სწრაფი ტემპებითაც მიმდინარეობს. ამ ეტაპზე არ ფიქსირდება დაავადებებისა და მწერების ფართო სპექტრი, რაც კარგ საფუძველს იძლევა, რომ ასევე განვითარდეს ორგანული მაყვლის წარმოება რომელზეც მაღალი ფასია ბაზარზე.

კენკროვანი კულტურების ფართოდ გაშენება საქართველოში არსებული დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ხელს შეუწყობს, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას, განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებლებს.

მაყვლის წარმოების კუთხით არსებობს სპეციალური პროგრამები სახელმწიფოს, დონორებისა და კერძო სექტორის მხრიდან. ეს პროგრამები მოიცავს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.

მაღალი ხარისხის მაყვლის სტაბილური მიწოდების შესაძლებლობის მქონე ფერმერებს გასაღების ბაზრის პერსპექტივა ექნებათ საექსპორტო ბაზრებზე, განსაკუთრებით ევროკავშირში, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არსებობს. ამასთანავე, ქართული მაყვალი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ საკვების უსაფრთხოების სტანდარტებს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ პარალელურად კენკრის გადამამუშავებელი ინდუსტრიაც განვითარდეს, რათა ქვეყანაში მოხდეს კენკრის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება ქართული მაყვლის პერსპექტივებს ევროკავშირის ბაზარზე, ახალ მაყვალზე მოთხოვნის ზრდა იმდენად დიდია, რომ ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე სწრაფად მზარდ პროდუქტებში მეოთხე ადგილს იკავებს[33]. ქართული მაყვალი გარდა იმისა, რომ შედარებით მაღალი შაქრიანობითა და უკეთესი გემოვნური თვისებებით ხასიათდება, ასევე შესაძლებელია, რომ როდესაც ესპანეთში მოილევა მაყვლის მოსავალი და სანამ სერბეთსა და პოლონეთშიი მოსავალი შევა სიმწიფეში, ქართველმა ფერმერებმა იმ პერიოდში მოაწოდოს ბაზარს.

ახალი მაყვალის მიწოდების შემთხვევაში, ევროკავშირამდე მიწოდების ფასი 12-14 ლარია კგ-ზე, რაც საკმაოდ მიმზიდველი ქართველი ფერმერებისა და ექსპორტიორებისათვის. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაყვალ მალფუჭებადი კენკროვანი ხილია, რომელიც შორ მანძილზე ტრანსპორტირებას ვერ უძლებს, ამიტომ ახალი სახით საქართველოდან ევროკავშირში მაყვლის გატანისათვის საჭიროა კარგად აწყობილი ლოგისტიკური სისტემა, რომელიც უახლოეს დროში და ტრანსპორტირების სტანდარტების დაცვით ჩაიტანს ქართულ პროდუქტს ევროკავშირში. ისრაელი, რომელიც ასეთი ლოგისტიკის წარმატებული მაგალითია და წარმატებითაც ყიდის თავის კენკრას შორეულ ბაზრებზე, ტრანსპორტირებისათვის, ძირითადად, იყენებს სა-

[33] https://www.fruitlogistica.de/media/fl/fl_dl_all/auf_einen_blick/European_Statistics_Handbook_FRUIT_LOGISTICA_2018.pdf

ჰაერო ტრანსპორტს, რაც ოპერატიულია (განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტებისათვის), თუმცა ძვირი. შესაძლებელია ასევე ტრანსპორტირების გამძლე ჯიშების გაშენებაც, რომლებიც შედარებით მარტივად იტანს საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტირებას დღეებისა და, შესაძლოა, რამდენიმე კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, მინიმალური დანაკარგებით შესაძლებელია ევროკავშირის ბაზარზე ქართული კენკრის მოხვედრა. სამწუხაროდ, იმის მტკიცებულება, თუ რომელი გზა იქნებოდა უკეთესი (მოგების თვალსაზრისით), რათა ქართული ახალი მაყვალი მოხვდეს ევროკავშირის ბაზარში, ჯერ არ შეგვიძლია, რადგან ამის პრეცენდენტი აქამდე არ ყოფილა. ამდენად, ამ მიმართულებით კვლევებისა და ცდების დაგეგმვა-ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია.

ახალი მაყვლის გარდა, ევროკავშირის ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა გაყინულ მაყვალზეც, თუმცა მასზე მოთხოვნა ბოლო წლებში სტაბილურია და ფასიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ტრანსპორტირების სიმარტივიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შედარებით უფრო რეალისტური ვარიანტია გაყინული მაყვლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთ პროდუქტზე დიდი მოთხოვნაა ევროკავშირში, თუმცა ფასი საკმაოდ მოკრძალებულია, ვიდრე ახალი (ახალი) მაყვლის შემთხვევაში (საიმპორტო ფასია საშუალოდ 1-1,5 ევრო/კგ). დღევანდელი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, თუ ქართველი ექსპორტიორები კილოგრამ მაყვალს საექსპორტოდ გამზადებას შეძლებენ 3-4 ლარში/კგ, მაშინ ხარისხის უზრუნველყოფის შემთხვევაში, ქართული გაყინული მაყვალი კონკურენტუნარიანი იქნება ევროკავშირის ბაზარზე.

9.2 ძირითადი მამოწვევები

კენკროვანი კულტურების გაშენება სულ რამდენიმე წელია დაიწყო საქართველოში. ამ კუთხით ჯერ მაყვლის სრულ მსხმოიარობაში მყოფი ბაღი არ არსებობს. მწირია ცოდნა და გამოცდილებაც, როგორც მაყვლის მოვლა-მოყვანის, ისე შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კუთხით. მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი არასრულყოფილია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი ინტენსიური განვითარება.

წარმოების ეტაპზე, ცოდნის დეფიციტთან ერთად, გამოიკვეთა, რომ ფერმერთათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ირიგაციის სისტემის გაუმართაობა. მაყვლის ინტენსიური ბაღებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ირიგაცია და რეგულარულად მორწყვა, ამიტომ მნიშვნელოვანია კარგად გამართული საირიგაციო სისტემა, რათა წყლის სტაბილურად მიწოდება მოხდეს ფერმერისათვის. გამოწვევად რჩება ასევე სერტიფიცირებული მაყვლის სანერგე მეურნეობის არარსებობა ქვეყანაში.

მაყვლის მწარმოებელ მოწინავე ქვეყნებში წარმოება და მოსავლის აღება უკვე უმეტესად ხდება მექანიზაციით. სწორედ ეს განსაზღვრავს მათ საფასო უპირატესობას, თუნდაც ევროკავშირის ბაზარზე. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მაყვლის ბაღების მასობრივ გაშენებას და წარმოების ზრდას მოჰყვება მაყვლის სარეალიზაციო ფასის შემცირება. ამდენად, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ასეთი ტექნოლოგიების დანერგაზე ზრუნვა მოხდეს საქართველოში, რომელიც მაყვლის თვითღირებულებას შეამცირებს.

ქვეყანაში სულ რამდენიმე შოკური მაცივარი არსებობს (მათგან არცერთი არ მდებარეობს კახეთში), რომელიც საჭიროა მაყვლისათვის, რომ მოხდეს მისი გარკვეული ვადით შენახვა და საექსპორტო ბაზრებზე გაგზავნა, ან შიდა ბაზარზე მიწოდება. ცალკეული მცირე ფერმერი-

სათვის შესაძლოა არარენტაბელური იყოს შოკური მაცივრის ქონა, თუმცა ფერმერთა გაერთიანებებისათვის (მაგ., კოოპერატივი) მნიშვნელოვანია ასეთ სერვისზე ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად იმისა, რომ მაყვალი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, მსოფლიოს ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში ჯერჯერობით მაყვლისგან სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოების სიმცირე შეინიშნება. გადამამუშავებელი ინდუსტრია ამ ეტაპზე ნაკლებად არის დაინტერესებული მაყვლის ნაყოფით.

საექსპორტო პოტენციალის რეალიზებისათვის, ქვეყანაში ჯერ წარმოებული მაყვლის საკმარისი რაოდენობა არ არის, სერიოზულ კონტრაქტზე რომ იყოს საუბარი. თუმცა ცალკეული შემთხვევები უკვე დაფიქსირდა 2018 წელს და მაყვლის ბაღების გაშენების ტემპებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ საექსპორტოდ საკმარისი რაოდენობის მაყვლის მოსავალი ქვეყანაში რამდენიმე წელში იქნება. თუმცა, არ არსებობს საექსპორტო ბაზრების სიღრმისეული კვლევა, თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის მიწოდების ჯაჭვები და რა მოთხოვნები აქვთ უშუალოდ მაყვლის იმპორტიორებს.

SWOT ანალიზი

ძლიერი (S)

- საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები და კახეთის აგროკლიმატური შესაბამისობა.
- ნაკლები დაავადების არსებობა და რემიტატული ჯიშების დაავადებებისადმი გამძლეობა.
- მაღალი ღირებულების მქონე მრავალწლიანი კულტურა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია მცირე ფართობებზე (რაც საქართველოსთვის დამახასიათებელია) შედარებით მაღალი შემოსავლების მიღება;
- კენკროვანი (მაყვალი) კულტურების მიმართ გაზრდილი მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე, განსაკუთრებით ევროკავშირში.
- შაქრის მაღალი შემცველობა – 12% (ევროპაში – 8%) და უკეთესი გემოვნური თვისებები;
- მაყვლის გაშენების მხარდამჭერი პროგრამების არსებობა (სახელმწიფო, დონორი თუ კერძო სექტორის მხრიდან).

სუსტი (W)

- მაყვლის წარმოების ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა (კვალიფიციური აგრონომების სიმცირე).
- მეცნიერული რეკომენდაციების სიმცირე (ჯიშების და ნიადაგურ-ეკოლოგიური პირობების შეთანაწყობის შესახებ).
- გაუმართავი ირიგაციის სისტემა.
- პროდუქციის ჯერ კიდევ დაბალი წარმოების დონე (არ არის კონტრაქტებისთვის საჭირო რაოდენობა).
- ადგილობრივად წარმოებული სერტიფიცირებული ნერგის არარსებობა.
- მალფუჭებადობა.
- შემნახავი, სამაცივრე და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე.
- სუსტად განვითარებული ღირებულებათა ჯაჭვი.
- გამართული ლოგისტიკური სისტემის არქონა.
- მზისგან დამცავი ბადეების არქონა.
- უშუალოდ კენკროვნების დაავადებებისათვის ეფექტური საშუალებების სიმცირე კვალიფიკაციის არქონა.
- 1 ჰექტრამდე მიწის მფლობელი ფერმერებისათვის სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ არ ვრცელდება.
- მექანიზაციის სიმცირე.
- შიდა გზების გაუმართაობა (ტრასპორტირებისას აზიანებს ნაყოფს);
- აგროდაზღვევის გამოყენება ამ ეტაპზე არ ხდება.
- ფერმერული გაერთიანებებისა და კოოპერატივების ნაკლებად განვითარება.

(O) სიფრთხილეები

- საექსპორტო პოტენციალის გამოყენება; ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების არსებობა.
- ქართული მაყვალი ევროპის უმსხვილეს მიმწოდებლებთან (სერბეთი, პოლონეთი) შედარებით, 3 კვირით ადრე შემოდის (შეგვიძლია ათვისება – მაისი-ივნისი).
- მაყვლის გამოყენება გადამუშავებული პროდუქციის სახით და შესაბამისი პროდუქტების წარმოების პოტენციალი.
- ბიოწარმოების განვითარების შესაძლებლობა.
- დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის შესაძლებლობები მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლზე.

(T) სიფრთხილეები

- მზის დამწვრობისგან მიყენებული ზარალი (დამცავი ბადეების არქონის შემთხვევაში).
- დაავადებების გავრცელება
- (მაგ;, სოკოვანი).
- მავნებლების გავრცელება (ტკიპი, ბუგრი, ხოჭო, ლოკოკინა).
- საექსპორტო ბაზრებზე გასვლაში შეფერხება (სხვადასხვა მიზეზის გამო, ევროკავშირის ბაზრის აუთვისებლობა).
- ფასების მკვეთრი შემცირება და კონკურენტუნარიანობის დაკარგვა.

10. რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მაყვლის წარმოების საკმაოდ კარგი ნიადაგურ-კლიმატური პირობები არსებობს კახეთში. მეორე მხრივ, მაყვალზე მზარდი მოთხოვნა არსებობს ევროკავშირის ბაზარზე და ამ ბაზრის ათვისების შესაძლებლობა არსებობს. მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი რამდენადაც განვითარების საწყის ეტაპზეა საქართველოში, მნიშვნელოვანია რეკომენდაციების გათვალისწინება სხვადასხვა რგოლისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან, რათა სექტორის განვითარება და მისი პოტენციალის გამოყენება მოხდეს.

10.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს

მნიშვნელოვანია, რომ მაყვლის ბაღების გაშენების დაგეგმვისას მიწის სრულყოფილი ანალიზი გაკეთდეს და დასკვნების შესაბამისად მოხდეს ნიადაგის განოყიერება. რიგთაშორის საჭიროა რეკომენდებული მანძილის დაცვა, რათა სოკოვანი დაავადებების გავრცელება არ მოხდეს. ამასთანავე, მაყვლის ინტენსიურ ბაღს ესაჭიროება მორწყვის წვეთოვანი სისტემა. ასევე, მნიშვნელოვანია, სრულად იქნეს აგროტექნოლოგიური ღონისძიებების დაცვა. დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს მაყვლის დაკრეფის პერიოდს, გადამწიფებული მაყვალი ტრანსპორტირებას ვერ უძლებს და მალე ფუჭდება.

ნაყოფი სიმწიფეში შესვლისას შესაძლოა მზისგან დაიწვას, რაც უკვე დაფიქსირდა კახეთში. ამიტომ სპეციალური დაჩრდილვის/დამცავი ბადეების დაყენება რეკომენდებულია, რათა როგორც მზისგან მოხდეს დაცვა, ასევე ძლიერი წვიმისა და სეტყვისგან.

რამდენადაც მაყვალი მალფუჭებადი პროდუქტია, ფერმერებისათვის რეკომენდებულია, რომ გაყიდვებზე წინასწარ იზრუნონ, შედარებით უფრო მსხვილ მოთამაშეებთან, შემგროვებლებთან, სამაცივრეებთან, ექსპორტიორებთან და საკონდიტრო ან გადამამუშავებელ ქარხნებთან. მაყვლის მოსავალი წლიდან წლამდე იზრდება და ბაზარი გაჯერებისკენ წავა, ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია „საკონტრაქტო ფერმერობაზე“ გადასვლა, რაც გულისხმობს, რომ მოსავალი დამწიფებამდე იქნეს გაყიდული.

ღირებულებათა ჯაჭვში განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობების გამსხვილება, რათა ფერმერებმა შეძლონ მასშტაბის ეკონომია და საბაზრო ძალაუფლების გაუმჯობესება. ასევე, ეს ფერმერებს დაეხმარება, ერთობლივად მოაწყონ სამაცივრე მეურნეობა და, შეძლებისდაგვარად, ექსპორტზეც გაიტანონ პროდუქცია.

ევროკავშირის ბაზრის ათვისებისათვის მნიშვნელოვანია სანიმუშო პრაქტიკის დანერგვა და სერტიფიკატის აღება (მაგ: GLOBALG.A.P).

10.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებს

ძალიან მნიშვნელოვანია სერტიფიცირებულ ნერგზე გადასვლა, რადგან თუ ნერგი ძლიერი არ არის და დაავადებების მიმართ გამძლე, იგი ვერ მოგვცემს იმ მოსავალს, რაც შესაძლებელია კახეთის პირობებში. ამ მიმართულებით სანერგე მეურნეობებს დახმარება სჭირდებათ სერტიფიცირების მიღებაში. დღეს უმეტესად კუსტარულ პირობებში ხდება ნერგის გამოყვანა, რაც დიდ რისკებს შეიცავს, რომ ნერგი არ იყოს ჯანმრთელი ან დაავადებების მიმართ გამძლე.

ფერმერსა და შუალედურ რგოლს შორის საკონტრაქტო ურთიერთობის ჩამოყალიბება დაეხმარება დარგს განვითარებაში. შუალედური რგოლის ფუნქციაა, ერთი მხრივ, ფერმერებისათვის მაყვლის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულითა და ტექნოლოგიით მომარაგება, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული პროდუქციის გასაღება ან გადამუშავება.

მიღებული პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდება შეიძლება რამდენიმე გზით: (1) მაყვლის ახალი სახით; (2) მაყვლის გაყინული სახით; (3) მაყვლის გადამუშავება და სხვადასხვა პროდუქციის მიღება. მნიშვნელოვანია, რომ სამივე მიმართულებით ეტაპობრივად მოხდეს განვითარება.

10.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს, არასამთავრობო სექტორს და დონორებს

მნიშვნელოვანია, რომ მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას მივუდგეთ კომპლექსურად. აუცილებელია, ძლიერი ექსტენციის სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც ფერმერებს გააცნობს მაყვლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე პრაქტიკას, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, მოკრეფა-შენახვის ტექნოლოგიებს და ა.შ. ირიგაციის განვითარება და ფერმერებისათვის წყლის უწყვეტად მიწოდება საფუძველია სტაბილური განვითარებისათვის.

შოკური მაცივრების განვითარება და მაყვლის შენახვის პირობების სწავლებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დარგის განვითარებაში. მაყვლის კულტურა და მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვი ახალია საქართველოსთვის და მასში ჩართული რგოლებისათვის მნიშვნელოვანია სწორი ინფორმაციის მიწოდება, სწავლება როგორც თეორიული კუთხით, ისე პრაქტიკული.

კენკროვნების განვითარებას უნდა მოჰყვეს გადამამუშავებელი მრეწველობაც, რადგან რამდენიმე წელში დიდი რაოდენობის კენკრა იქნება ქვეყანაში და გადასამუშავებელი ნედლეულიც საკმარისი იქნება. გადამამუშავებელ მრეწველობაში, როგორც წესი, შედარებით დაბალი ხარისხის მაყვალი მიედინება ისეთი, რომელსაც სხვადასხვა დეფექტი გააჩნია და ხილის სახით ბაზარზე წუნდებულია. თუმცა, სასურველი ფასის შემთხვევაში, მაღალი ხარისხის ნაყოფის გადამუშავებაც შესაძლებელია და სხვადასხვა სახეობის პროდუქტის წარმოებაც, როგორიცაა კომპოტი, მურაბა, ჯემი, იოგურტი, ღვინო და ა.შ.

სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისათვის რეკომენდებულია, რომ კერძო სექტორთან თანამშრომლობით სიღრმისეულად იქნეს საექსპორტო ბაზრები შესწავლილი, როგორც ახალი მაყვლის, ისე გაყინულისა და გადამუშავებულის შემთხვევაში. უნდა ჩატარდეს ბიზნესშეხვედრები (B2B) ევროკავშირში კენკრის იმპორტიორ კომპანიებსა და ქართველ ექსპორტიორებსა და ფერმერებს შორის, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა და საკონტრაქტო პირობების გაცნობა. ამასთანავე, ფერმერებისა და ექსპორტიორებისათვის საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრებული შესაბამისი სერტიფიკატების აღებაში დახმარება (ფინანსური და ტექნიკური).

10.4 რეკომენდაციები ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად

იმისათვის, რომ განვითარდეს მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვი და ჯაჭვის მონაწილეებისთვის გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, სასურველია, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, კერძოდ, რა სახის პროგრამებია, რა სახის დოკუმენტაციაა საჭირო, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ, დაფინასება რომ მიიღონ.

ასევე, სასურველია, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ, ფინანსური ინსტიტუტების სერვისებისა და პროდუქტის შესახებ. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსება ფინანსურ ინსტიტუტებს სხვადასხვა პროდუქტებით შეუძლიათ. საქართველოში ამჟამად სესხი ყველაზე გავრცელებული დაფინანსების საშუალებაა, თუმცა არსებობს, საბანკო გარანტიები[40], აკრედიტივები[41] და სხვა პროდუქტები, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სესხზე იაფი და, ამასთან ერთად, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას ხელს უწყობს.

მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების მხრიდან მოხდეს აღრიცხვიანობის საკითხის მოგვარება, რათა ჯაჭვის წევრებმა შეძლონ შემოსავლებისა და ხარჯების დადასტურება. აღნიშნული გაამარტივებს მათ ურთიერთობას ფინანსურ ინსტიტუტებთან, შეამცირებს რისკებს, შესაბამისად, გაადვილდება სესხის აღება.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის ფორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება. კონტრაქტების საფუძველზე, ფინანსური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოსთვის მარტივდება მსესხებლის, ბენეფიციარის გადახდისუნარიანობისა და საპროგნოზო შემოსავლების შეფასება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შემცირება, რაც შესაძლოა აისახოს შემცირებულ საპროცენტო განაკვეთში და მოთხოვნილ უზრუნველყოფაში. სწორედ ამიტომ მსგავსი შეთანხმებების ხელშეწყობა, წახალისება, სასურველია როგორც სახელმწიფოს, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

ბიბლიოგრაფია

დევაძე დინარა (2017). მაყვლის ბიომრავალფეროვნება, ქიმიური შემადგენლობა და გადამუშავება. დისერტაციის თემა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის;

პიჩა დევიდ (2014), მაყვალი, ფერმერის გზამკვლელი. USAID/NEO;

რჩევა ფერმერებისათვის – მაყვლის აგროტექნოლოგია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2016).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის კახეთის რეგიონში მდებარე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეგროვებული ოპერატიული მონაცემები.

Joo, M., Lewandowski N., Auras R., Harte J., & Almenar, E. (2010). Comparative shelf life study of blackberry fruit in bio-based and petroleum-based containers under retail storage conditions. Food Chemistry 126 (2011) 1734–1740.

Kaplinsky, R., & Morris, M. (2001). A handbook for value chain research (Vol. 113). Ottawa: IDRC.

Value Chain Analysis for Southern Serbia (2012), Epicentral Internetional. Center for the Development of Jablanica and Pcinja Districts.

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა (www.faostat.org)

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ დახმარების პორტალი (http://www.dcfta.gov.ge/)

ევროკავშირთან ვაჭრობის დახმარების პორტალი (http://trade.ec.europa.eu/tradehelp/)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)

საქართველოს შემოსავლების სამსახური (http://www.rs.ge)

საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა (www.trademap.org)

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (www.apma.ge)

European Commission: Trade Helpdesk (http://trade.ec.europa.eu/tradehelp/)

Centre for the Promotion of Imports from developing countries (CBI) (https://www.cbi.eu/)

Tridge – a global wholesale company (http://finder.tridge.com)

Government of United Kingdom (https://www.gov.uk/)

European Statistics and Handbook – Fruitlogistica (https://www.fruitlogistica.de)

დანართები

დანართი 1. პროდუქტის შერჩევა

პროდუქტის შერჩევის რამდენიმე კრიტერიუმი გამოიკვეთა, რომლებიც შესაბამისი წონების მიხედვით ასე გადანაწილდა: პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე (წონა – 35%), იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ადგილობრივ ბაზარზე (წონა – 25%), ღირებულებათა ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი (წონა – 20%) და კახეთის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება (აგროკლიმატი და სხვ., წონა – 20%). შეფასება გაკეთდა 1-დან 5-ქულამდე ცალკეულ პროდუქტზე, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, სადაც 1 იყო ყველაზე დაბალი, ხოლო 5 – ყველაზე მაღალი შეფასება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თითოეული ქულა ჯგუფის წევრებს შორის მსჯელობისა და კონსენსუსის სახით დაიწერა. შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 4-ში.

ცხრილი 9: პროდუქტის შერჩევა

კრიტერიუმი	კოეფიციენტი	მაყვალი	ლობიო	ბროწეული	ბარბარი
პროდუქტის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე	0.35	4	3	3	4
იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ადგილობრივ ბაზარზე	0.25	2	4	4	4
ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი	0.20	5	2	3	4
კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინება	0.20	4	4	3	2
ჯამი		**3.7**	**3.25**	**3.25**	**3.6**

დანართი 2. ჩატარებული ფოკუს ჯგუფები

#	ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სტატუსი	ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სახელი, გვარი, თანამდებობა / საქმიანობა	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი
1	საპილოტე ფოკუს-ჯგუფი მაყვლის სექტორის წარმომადგენლებთან	1) ვალერი გორგიშელი (ნერგის მწარმოებელი); 2) იზოლდა ქიტესაშვილი (ნერგის მწარმოებელი, ფერმერი, კენკროვანთა ასოციაციის თავმჯდომარე); 3) გიორგი ლაცაბიძე (ფერმერი); 4) ნიკო სულხანიშვილი (კახეთის რეგიონული საინფ.-საკონს. სამსახურის წარმომადგენელი)	25/10/2017	თელავი
2	მაყვლის მწარმოებელი ფერმერები ახმეტის მუნიციპალიტეტში	1) კონსტანტინე მოურავიძე; 2) მიხეილ მათიშვილი; 3) მარინა ჩარხოშვილი; 4) ასმათ დევდარაიძე; 5) ბესო ვეშაგურიძე; 6) ლევან გიგოიძე.	05/09/2018	ახმეტა, ზემო ალვანი
3	მაყვლის მწარმოებელი ფერმერები გურჯაანის მუნიციპალიტეტში	1) ელისო ღვინიაშვილი; 2) იზოლდა ქიტესაშვილი; 3) ანიკო იაღანაშვილი; 4) მაია ყიფშიძე; 5) ლალი დულარიძე.	07/09/2018	გურჯაანი

დანართი 3. ჩატარებული ინტერვიუები

#	რესპონდენტის სახელი, გვარი	რესპონდენტის სტატუსი / საქმიანობა
1	იზოლდა ქიტესაშვილი	ფერმერი, ნერგის მწარმოებელი, კენკროვანთა ასოციაციის თავმჯდომარე
2	გიორგი ლაცაბიძე	ფერმერი, ნერგის მწარმოებელი
3	კახა მოსიაშვილი	ფერმერი, ნერგის მწარმოებელი
4	ელისო ღვინიაშვილი	ფერმერი
5	გიორგი ბობღიაშვილი	ფერმერი
6	სოსო ბალიაშვილი	ფერმერი
7	გლახო ხარაიშვილი	ფერმერი
8	გიორგი ნაცვლიშვილი	ფერმერი
9	რაფიელ მაღალაშვილი	სამაცივრე მეურნეობა
10	ნინო ხაჭაპურიძე	მომხმარებელი
11	მაკა მოსიაშვილი	მომხმარებელი
12	ნინო როსებიშვილი	მომხმარებელი
13	ნიკო სულხანიშვილი	ექსპერტი, კახეთის RICC
14	ლევან შავაძე	ექსპერტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15	ზურა წიგნაძე	ექსპერტი, კახეთის RICC
16	ირა ელანიძე	ექსპერტი, ახმეტის ICC
17	ლექსო თათრიშვილი	ექსპერტი, გურჯაანის ICC
18	შოთა ცუკოშვილი	ექსპერტი, პროექტი REAP
19	შოთა გონგლაძე	ექსპერტი, თიბისი ბანკი